პროექტი
(ბოლო ვერსია)

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი
საფოსტო კავშირის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, სფეროს სახელმწიფო რეგულირების და სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების პრინციპებს. საფოსტო კავშირის ქსელებისა და საშუალებების ფლობის, მათი გამოყენების და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი, რომელიც მიიღება და ბარდება საქართველოს ფარგლებში;

ბ) ადრესატი – იურიდიული ან ფიზიკური პირი ვისაც ეგზავნება და ვისზეც დამისამართებულია საფოსტო გზავნილი;

გ) ავტორიზაცია - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი პირის საქმიანობის რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით;

დ) ავტორიზებული პირი - "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი, აგრეთვე ნებისმიერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საფოსტო კავშირით მომსახურების მიწოდებას და რეგისტრირებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ.

ე) ამანათი - საფოსტო გზავნილების სახეობა, რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი,თუ მისი გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებს. ამანათების სახეობები და კატეგორიები, წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

ვ) არაპირდაპირი ზარალი – მომხმარებლის შესაძლო ზარალი, რომელიც არ შეესაბამება დაკარგული, დაზიანებული ან/და განადგურებული საფოსტო გზავნილის ან მისი შიგთავსის პირდაპირ ღირებულებას და რომელიც საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორის მიერ არ ანაზღაურდება

ზ) არაპრიორიტეტული საფოსტო გზავნილები - საფოსტო გზავნილები, რომელთა გასაგზავნად მომხმარებელმა აირჩია ნაკლებად მაღალი ტარიფი, რომელიც გულისხმობს ადრესატისათვის მის შედარებით ხანგრძლივ დროში ჩაბარებას;

თ) არარეალიზებული მოგება - საფოსტო გზავნილის ან მისი შიგთავსის დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების შედეგად მომხმარებლის მიერ მიუღებელი შესაძლო მოგება, რომელიც საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორის მიერ არ ანაზღაურდება;

ი) ბეჭდვითი გამოცემა – წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც გულისხმობს ბეჭდვის საშუალებით გამრავლებულ იდენტურ ეგზემპლიარებს, მათ შორის: წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, ალმანახებს, კრებულებს და სხვა.

კ) დაზღვეული (ფასგამოცხადებული) გზავნილი - პრიორიტეტული და არაპრიორიტეტული საფოსტო გზავნილი, რომელიც შეიცავს ღირებულ დოკუმენტებს ან ძვირფას ნივთებს შესაძლოა გაგზავნილ იქნას შიგთავსის დაზღვევით გამგზავნის მიერ გამოცხადებული ღირებულებით. მომხმარებლის მიერ დასახელებული (ფასგამოცხადების) თანხა არ უნდა აღემატებოდეს გზავნილის შიგთავსის ნამდვილ ღირებულებას;

ლ) დაშვება - საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით(მათ შორის ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ან თავისუფალი ფუნქციონალური სიმძლავრეების გამოყენებით საფოსტო კავშირის მომსახურების სახეების სარგებლობის უზრუნველყოფა;

მ) დაშვების მიმწოდებელი - საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორი რომელსაც მოეთხოვება მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან საფოსტო კავშირის სხვა ოპერატორის დაშვება;

ნ) დაშვების მსურველი - საფოსტო კავშირის ოპერატორი რომელიც საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორისგან ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორისგან მოითხოვს ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან დაშვებას;

ო) დაშვების ტარიფი - საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორის ქსელის ელემენტებთან, მათ თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან საფოსტო კავშირის სხვა ოპერატორის დაშვების საფასური;

პ) დაჩქარებული ფოსტა (EMS) - საფოსტო მომსახურების სახეობა, სადაც საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორებს ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმების საფუძველზე საფოსტო წერილობითი კორესპოდენციის და საფოსტო ამანათების მიღება, გაგზავნა, ჩაბარება ხორციელდება დაჩქარებულად, შესაძლო მოკლე ვადებში;

ჟ) დიპლომატიური საფოსტო გზავნილი – საფოსტო გზავნილები რომელთა გაცვლა წარმოებს სახელმწიფოთაშორისი სპეციალური ხელშეკრულებების შესაბამისად;

რ) ელექტრონული საფოსტო მომსახურება - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც ხორციელდება საფოსტო კავშრის და ინფოკომუნიკაციების ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით;

ს) კომისია - სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

ტ) კომპლექსური საფოსტო ლოგისტიკა - საფოსტო მომსახურების სახეობა, სადაც საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორებს ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორებს შორის

დადებული სპეციალური შეთანხმების საფუძველზე იწარმოება ცალკეული ან/და გაერთიანებული დოკუმენტების ან/და საქონლის შეგროვება, მიღება, დამუშავება, დასაწყობება, დატვირთვა (გადმოტვირთვა), გაგზავნა, ტრანსპორტირება და ჩაბარება;

უ) მომხმარებელი - პირი, რომელიც იყენებს საფოსტო კავშირით განხორციელებულ მომსახურებას;

ფ) მცირე პაკეტი - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა რომლის შიგთავსი შეიცავს ბეჭდვით მასალებს, ხელნაწერებს და ფოტოსურათებს, აგრეთვე სხვა გზავნილებს რომელთა გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებს. მცირე პაკეტის წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

ქ) პრიორიტეტული საფოსტო გზავნილი _ საფოსტო გზავნილები, რომლებიც პრიორიტეულად იგზავნება ყველაზე უსწრაფესი საჰაერო ან სახმელეთო გზით;

ღ) რეგისტრირებული (შეკვეთილი) საფოსტო გზავნილი – განცალკევებულად რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი, რომლის მომხმარებლიდან მიღებაც დასტურდება საფოსტო კავშირის ოპერატორის მიერ და მას ენიჭება მაიდენტიფიცირებელი ნომერი;

ყ) რეგულირების საფასური - ამ კანონის საფუძველზე დადგენილი საფასურის ოდენობა;

შ) სააბონენტო საფოსტო ყუთი - განსაზღვრული საფოსტო გზავნილების სახეობების ადრესატისთვის გადასაცემად განკუთვნილი სპეციალური ყუთი, რომელიც მონტაჟდება საცხოვრებელ/ საქმიანობის ადგილზე და საფოსტო განყოფილებებში ან სერვის ცენტრებში.

ჩ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილები - საფოსტო გზავნილები, რომლებიც იგზავნება სხვა სახელმწიფოებში ან/და მიიღება სხვა სახელმწიფოებიდან, ან სხვა სახელმწიფოთა საფოსტო გზავნილები, რომლებიც ტრანზიტულად გადაადგილდება ქვეყნის ტერიტორიაზე;

ც)საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გადახდის (საპასუხო) კუპონი _ მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ გამომშვებული კუპონი, რომელიც საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ იცვლება საფოსტო საგადახდო ეროვნულ ნიშნებზე, ყველაზე მცირე წონის უბრალო პრიორიტეტული საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გაგზავნის ღირებულების ასანაზღაურებლად;

ძ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ადგილი - უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის განხორციელების ადგილი;

წ) საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურება - მომხმარებლისთვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომი საფოსტო მომსახურება

ჭ) საკონტროლო ვადა _ საფოსტო გზავნილების მიღებიდან მისი ადრესატისათვის ჩაბარებამდე დროის პერიოდი. საკონტროლო ვადები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

ხ) საკურიერო საფოსტო მომსახურება - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც გულისხმობს ერთი და იგივე ავტორიზებული პირის მიერ მისი ქსელის საშუალებით საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას და ადრესატისთვის სწრაფად ჩაბარებას პრინციპით "მომხმარებლის კარიდან ადრესატის კარამდე";

ჯ) სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

3) საფოსტო ბარათი - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც განთავსებულია სპეციალურ მხატვრულ ბლანკზე და კონვერტის გარეშე, ღია სახით იგზავნება. საფოსტო ბარათის ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით;

3[1]) საფოსტო გზავნილი – ნებისმიერი გზავნილი (წერილობითი კორესპონდენცია, ამანათი და საფოსტო ფულადი გზავნილი), რომლის გაგზავნა ან ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზებული პირის საშუალებით. საფოსტო გზავნილების სახეობები და კატეგორიები, მათი წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით, ამ კანონით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

3[2]) საფოსტო ინდექსი - საქართველოს დასახლებული პუნქტების და საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორთა საფოსტო განყოფილებების ან/და სერვის ცენტრების გეოგრაფიული ადგილდებარეობის იდენტიფიცირებისათვის ციფრებით გამოხატული კოდი;

3[3]) საფოსტო კავშირი - საფოსტო კავშირის ნაგებობების და საშუალებების ერთიანი ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას და ჩაბარებას;

3[4]) საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი – შესაბამისი სტატუსის მქონე ავტორიზებული პირი, რომელიც ახორციელებს საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირით მომსახურებას, აგრეთვე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნივერსალური საფოსტო და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო სახეობებით მომსახურებას, ამ კანონის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად;

3[5]) საფოსტო კავშირით მომსახურება - საფოსტო გზავნილების, მიღება, დამუშავება, გადაზიდვა და ადრესატისთვის ჩაბარება, რომელსაც განახორციელებენ ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო ოპერატორები საფოსტო კავშირის წესების, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და კანონის შესაბამისად;

3[6]) საფოსტო კავშირის ნაგებობები - საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტები, მათ შორის შენობები და ნაგებობანი რომლებიც შექმნილნი ან/და მორგებულნი არიან საფოსტო კავშირის საშუალებათა განსათავსებლად;

3[7]) საფოსტო კავშირის ობიექტები – საფოსტო კავშირის ნაგებობები და საშუალებები;

3[8]) საფოსტო კავშირის ოპერატორი - ავტორიზებული პირი, რომელიც ახორციელებს საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირით მომსახურებას, ამ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

3[9]) საფოსტო კავშირის საშუალებები - ტექნიკური და ტექნოლოგიური დანადგარები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები რომლებიც გამოიყენება საფოსტო გზავნილებათა მიღების, დამუშავების, გადაზიდვის და ჩაბარების მიზნით, აგრეთვე საფოსტო კავშირის საშუალებებით მომსახურების გასაწევად;

3[10]) საფოსტო კავშირის ქსელები - საფოსტო გზავნილებათა მიღების, დამუშავების, გაგზავნის, ჩაბარების ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს საფოსტო კავშირის ნაგებობათა და საშუალებათა ერთობლიობას;

3[11]) საფოსტო მარშუტი – საფოსტო ობიექტებს შორის საფოსტო ტრანსპორტის მოძრაობის გზა;

3[12]) საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნები - საფოსტო მარკები, მარკირებული კონვერტები და მარკირებული ღია ბარათები, აგრეთვე ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი;

3[13]) საფოსტო უსაფრთხოება - ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და ტექნიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც საფოსტო კავშირის განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილებათა ხელყოფისაგან დაცვას, აკრძალული ნივთების, საგნებისა და ნივთიერებების საფოსტო გზავნილებით გაგზავნის და მიღების მცდელობის აღკვეთას;

3[14]) საფოსტო ფულადი გზავნილი - გულისხმობს საფოსტო და ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების გამოყენებით ფულადი სახსრების მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას და ჩაბარებას;

3[15]) საფოსტო ყუთი – დასახლებულ პუნქტებში განთავსებული დადგენილი ფორმის, ფერის და ზომის სპეციალური ყუთი ანაზღაურებული წერილობითი კორესპოდენციის ჩასაშვებად;

3[16]) სეკოგრამა - უსინათლოთა ან/და მათთვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილება, რომელიც შეიცავს სეკოგრაფულ წერილებს, სეკოგრაფიის ნიშნებიან კლიშეს, უსინათლოთათვის განკუთვნილ ქაღალდს, აგრეთვე აუდიოჩანაწერს;

3[17]) სპეციალური საფოსტო გზავნილები – შეზღუდული სარგებლობის, საიდუმლო, სრულიად საიდუმლო, ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტების ან/და ნივთების შემცველი საფოსტო გზავნილები;

3[18]) სპეციალური საფოსტო მომსახურება - სახელმწიფო ხელისუფლების, თავდაცვის, უშიშროების და მართლწესრიგის დაცვის, საგარეო ურთიერთობათა ორგანოების სპეციალური საფოსტო გზავნილების მომსახურება

3[19]) ტრანზიტის თავისუფლება - მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით დადგენილი პრინციპი, რომლის თანახმად შუალედი ქვეყნის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი უზრუნველყოფს სხვა ქვეყნის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ მისთვის გადაცემული საფოსტო გზავნილის უსაფრთხოდ და შესაძლო მოკლე ვადაში დანიშნულებით სხვა ქვეყნის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორისთვის გადაცემას. ტრანზიტული საფოსტო გზავნილები ექვემდებარება საბაჟო და სასაზღვრო კონტროლს, მათზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული აკრძალვები.

3[20]) უბრალო საფოსტო გზავნილი - საფოსტო გზავნილი რომლის მიღებისას ავტორიზებული პირის მიერ არ გაიცემა ქვითარი და არდესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე;

3[21]) უნივერსალური საფოსტო მომსახურება - მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით განსაზღვრული ხარისხის და ამ კანონის საფუძველზე დადგენილი საფოსტო მომსახურების სახეობები, რომლებითაც უზრუნველყოფილია ქვეყნის ყველა დასახლებული პუნქტი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში. უნივერსალური საფოსტო მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას.

3[22]) უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურება - უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტური და სტაბილური ფინანსირების უზრუნველსაყოფად ამ კანონით განსაზღვრული საფოსტო ბაზრის გარკვეული მომსახურებები, რომელსაც სფეროს სრულ ლიბერალიზაციამდე განახორციელებს მხოლოდ ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი.

3[23]) უწყებრივი საკურიერო კავშირი - არაკომერციული მიზნით შიდასაწარმოო საჭიროებისათვის შექმნილი კომუნიკაცია;

3[24]) ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი - სპეციალური საფოსტო დანადგარის ანაბეჭდი, რომლითაც საფოსტო კავშირის ოპერატორების მიერ საფოსტო გზავნილებზე აღინიშნება მომხმარებლის მიერ გზავნილების ღირებულების გადახდა;

ჰ[25]) წერილი -წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც შეიცავს ქაღალდზე დატანილ ტექსტს, რომლის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებს. წერილის წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

ჰ[26]) წერილობითი კორესპოდენცია – საფოსტო გზავნილების სახეობა, რომელსაც მიეკუთვნება წერილები, საფოსტო ბარათები, ბეჭდვითი გამოცემები, სეკოგრამები, მცირე პაკეტები, M ტომრები. მათი სახეობები და კატეგორიები, წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

ჰ[27]) M ტომარა - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც შეიცავს ერთ ადრესატზე დამისამართებული განსაზღვრული წონის წიგნებს, გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს, და სხვა მსგავს პროდუქციას.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა საფოსტო კავშირის სფეროში

1. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და ურთიერთობების რეგულირების საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

2. საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი პირები სარგებლობენ საქართველოს მეწარმე სუბიექტისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის მიზნები და პრინციპები

1. ამ კანონის მიზანია საფოსტო კავშირის ქსელებით და საშუალებებით მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

2. საფოსტო სფეროში მოქმედებს სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ა) საქმიანობისას და მისი შედეგებით სარგებლობისას პირთა თანასწორუფლებიანობა;

ბ) უნივერსალური საფოსტო მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ნორმების დადგენა;

გ) სფეროს ეტაპობრივი სრული ლიბერალიზაციის გზით მეწარმეობის და კონკურენციის განვითარება. ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

დ) საფოსტო გზავნილის და მომხმარებლის პირადი მონაცემების საიდუმლოების, მომხმარებელთა უფლებების დაცვა;

ე) საფოსტო კავშირის ქსელების და საშუალებების, აგრეთვე მომსახურების სფეროს სრულყოფა და განვითარება. მომსახურების სახეობების და მისი ხარისხის განსაზღვრა

ვ) საფოსტო კავშირის ქსელების საერთაშორისო ინტეგრაცია;

ზ) საერთაშორისო თანამშრომლობა;

თ) ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

ი) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მათ შორის თავდაცვის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანოების საფოსტო კავშირით მომსახურების უზრუნველყოფა;

კ) იმ შეტყობინებების და ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემა, რომლებიც შეეხება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, სახელმწიფო უსაფრთხოებას, სტიქიურ უბედურებებს, ტექნოგენურ კატასტროფებს, ავარიებს, ეპიდემიებს და ეპიზოოდიებს;

ლ) საფოსტო უსაფრთხოების განმტკიცება;

მ) მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საფოსტო გზავნილების მიღების, დამუშავების, გაგზავნის და ჩაბარების დაუშვებლობა;

ნ) საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების გამოცემა;

ო) საფოსტო კავშირის სფეროში ფინანსური და საგადახდო მომსახურებების განვითარება;

პ) საქართველოს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საფოსტო ინდექსების დადგენა. საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ადგილების და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დამუშავების ცენტრების დადგენა;

ჟ) მარეგულირებელი გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა, გამჭვირვალობა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტი.

მუხლი 5. საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა

1. საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს სამინისტრო და კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

3. სამინისტრო ახორციელებს დადგენილი წესით დამტკიცებულ სახელმწიფო პოლიტიკას და მის საფუძველზე შემუშავებულ სახელმწიფო პროგრამებს.

4. კომისია თავის უფლებების განხორციელებაში ხელმძღვანელობს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით.

მუხლი 6. საერთაშორისო თანამშრომლობა საფოსტო კავშირის სფეროში

1. საფოსტო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს ტერიტორიაზე გარანტირებულია საფოსტო გზავნილების გადაადგილების, მათ შორის საერთაშორისო საფოსტო გზავნილების ტრანზიტულად გადაადგილების თავისუფლება. ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების

გაცვლა წარმოებს მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ადგილებსა და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დამუშავების ცენტრებში.

3. საერთაშორისო საფოსტო გზავნილები, მათ შორის ტრანზიტული გზავნილები კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება საბაჟო და სასაზღვრო კონტროლს. საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის გავლისას საფოსტო გზავნილებს ენიჭებათ უპირატესობა საბაჟო და სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელთან მიმართებაში;

4. საფოსტო სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში და საზღვარგარეთის ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციებთან ურთიერთობისას საქართველოს წარმოადგენს სამინისტრო, ცალკეულ შემთხვევებში კი კომისიაც მისთვის საქართველოს მთავრობის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 7. საფოსტო გზავნილების დამისამართებისას გამოყენებული ენები და საკონტროლო სააღრიცხვო დრო

1. საქართველოს შიგნით დამისამართებული საფოსტო გზავნილის მიმღების და გამგზავნის მისამართები დაწერილი უნდა იქნეს სახელმწიფო ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე- აფხაზურ ენაზეც.

2. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მიმღებისა და გამგზავნის მისამართები დაწერილი უნდა იქნეს მსოფლიოს საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად.

3. საფოსტო სფეროში ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების საკონტროლო-სააღრიცხვო დროდ განისაზღვრება ადგილობრივი დრო.

მუხლი 8. საფოსტო გზავნილების და მომხმარებლის პირადი მონაცემების საიდუმლოების დაცვა

1. საფოსტო გზავნილები და მომხმარებლის პირადი მონაცემები წარმოადგენენ მომხმარებელთა საიდუმლოს და მისი დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში.

2. საფოსტო კავშირის სფეროში დასაქმებული ყველა სუბიექტი, საფოსტო საწარმოებში დასაქმებული ყველა პირი, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების მოხელეები, სატრანსპორტო გადამზიდავები ვალდებულნი არიან დაიცვან საფოსტო გზავნილების და მომხმარებლის პირადი მონაცემების საიდუმლოება როგორც მომსახურების გაწევისას ასევე შემდეგაც.

3. საფოსტო გზავნილების და მომხმარებლის პირადი მონაცემების საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ძალაშია ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული პირების მიერ სამსახურის დატოვების შემდეგაც, პირები რომლებიც დაარღვევენ საფოსტო საიდუმლოებას, პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. საფოსტო უსაფრთხოება

1. საფოსტო კავშირის სფეროში დასაქმებული ყველა სუბიექტი ვალდებულია შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს და განახორციელოს ეფექტური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა რომელიც მომსახურების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს: საფოსტო გზავნილების დაზიანებისგან, დაკარგვისგან, ხელყოფისგან და განადგურებისგან დაცვას; აკრძალული საგნების, ნივთების, ცხოველების და ნივთიერებების საფოსტო გზავნილით გაგზავნის, მიღების ან/და ტრანზიტულად გატარების მცდელობის აღკვეთას.

მუხლი 10. საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო კავშირის ქსელების მართვა

1. საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო კავშირის ყველა საშუალებების და ქსელების მართვა რეგულირდება "საგანგებო მდგომარეობის შესახებ" და "საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონებით.

2. საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირის ყველა საშუალებების და ქსელების ფუნქციონირების უზრუნველყოფის კოორდინაციას განახორციელებს სამინისტრო, ხოლო სპეციალური საფოსტო კავშირის ქსელებისა კი მათ მფლობელ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად. სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორი ვალდებულნი არიან კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ საფოსტო კავშირის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

3. საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სარგებლობენ ყველა სახის საფოსტო კავშირის საშუალებების პრიორიტეტულად გამოყენების, ხოლო სამინისტრო კი საფოსტო კავშირის საშუალებების ფუნქციონერების შეჩერების ან/და შეზღუდვის უფლებებითაც.

4. სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის შედეგად დაზიანებული საფოსტო კავშირის საშუალებების აღდგენაში დახმარება აღმოუჩინონ საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს, მათ მიერ გაწეულ სამუშაოთა ღირებულების შემდგომი ანაზღაურებით.

თავი II.
საფოსტო კავშირის სფეროს სახელმწიფო მართვის და რეგულირების ორგანოები, მათი ძირითადი ფუნქციები

მუხლი 11. საფოსტო კავშირის სფეროს სახელმწიფო მართვის და რეგულირების ორგანოები

1. საფოსტო კავშირის სფეროს სახელმწიფო მართვის ორგანოა სამინისტრო.

2. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია.

მუხლი 12. საფოსტო კავშირის სფეროში სამინისტროს ძირითადი ფუნქციები:

1. სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიის და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მათი განხორციელება;

ბ) საფოსტო კავშირის სფეროს საკანონმდებლო - ნორმატიული ბაზის შემუშავება, განვითარება და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მათი განხორციელების ორგანიზება და მონიტორინგი;

გ) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საფოსტო კავშირის სფეროს ფუნქციონირების კოორდინაცია;

დ) სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საფოსტო კავშირის საწარმოთა ქონების და ქსელების მართვა (დიპლომატიური ფოსტის და სპეციალური საფოსტო კავშირის გარდა);

ე) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ნორმების დადგენა.

ვ) საფოსტო სფეროს ფუნქციონირების და განვითარების უზრუნველყოფა მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად. საფოსტო კავშირის წესების და ნორმების დადგენა;

ზ) საფოსტო კავშირის სფეროში მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების, ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა;

თ) საფოსტო კავშირის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა, ქვეყნის წარმომადგენლობა საფოსტო კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციებთან ურთიერთობებში;

ი) საქართველოს საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების (მარკების, მარკირებული კონვერტებისა და მარკირებული ღია ბარათების) გამოცემის ექსკლუზიური უფლება;

კ) საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების წარმართვა;

ლ) საფოსტო კავშირის სფეროში სტანდარტების და მეტროლოგიის პოლიტიკის განსაზღვრა და საქმიანობის წარმართვა;

მ) საქართველოს ქალაქების და დასახლებული პუნქტების საფოსტო ინდექსების დადგენა;

ნ) შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ადგილების და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დამუშავების ცენტრების დადგენა;

ო) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით საფოსტო გზავნილების დამატებითი ნუსხის დადგენა, რომელთა საფოსტო კავშირის ქსელებით მიღება, გაგზავნა ან ტრანზიტად გატარება აკრძალულია ან შეზღუდულია;

პ) ავტორიზებული პირისათვის საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის სტატუსის მინიჭება ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით აღნიშნული სტატუსის ჩამორთმევა;

ჟ) ეკონომიკური ინიციატივების საშუალებით საფოსტო კავშირის ინფრასტრუქტურისა და ქსელების განვითარების ხელშეწყობა;

რ) საჭიროების შემთხვევაში ახალი საფოსტო მომსახურების სახეობების დადგენა.

2. სამინისტრო ამ კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებში შემავალ საკითხებზე გამოსცემს ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 13. საფოსტო კავშირის სფეროში კომისიის ძირითადი ფუნქციები:

1. კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიის შესაბამისად მისი უფლებამოსილების განხორციელება;

ბ) საფოსტო კავშირის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება;

გ) საფოსტო ოპერატორების მიერ მომხმარებლებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანის და სატარიფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) ავტორიზებული პირების საქმიანობის რეგულირების და მონიტორინგის დამოუკიდებლად განხორციელება;

ე) საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;

ვ) საფოსტო სფეროში მოქმედი სტანდარტების და რეგლამენტების დაცვაზე კონტროლი;

ზ) უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფების შეთანხმება ფასების ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით;

თ) უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ნორმების დაცვაზე და ტარიფებზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ი) საფოსტო კავშირის ქსელების ელემენტებთან დაშვების ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება;

კ) საფოსტო სფეროში საქმიანობის ავტორიზაციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა და მათი დარღვევისას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

ლ) საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზებულ პირთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვა.

2. კომისია ამ კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებში შემავალ საკითხებზე გამოსცემს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს.

თავი III.

საფოსტო კავშირით მომსახურების სახეობები და ხარისხი, მომსახურების განმახორციელებელი სუბიექტები, მათი და მომხმარებლების ზოგადი უფლება-მოვალეობები, ტარიფები, საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნები, დაუშვებელი საფოსტო გზავნილები, აკრძალვები

მუხლი 14. საფოსტო მომსახურების სახეობები

1. საფოსტო მომსახურება შედგება საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურებისაგან და სპეციალური საფოსტო მომსახურებისგან.

2. საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურება შედგება: უნივერსალური საფოსტო მომსახურებისგან, ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურებისგან, დაჩქარებული ფოსტისაგან/EMS, საკურიერო ფოსტისაგან, ელექტრონული მომსახურებისგან, საფოსტო კომპლექსური ლოგისტიკისაგან, საგადახდო საფოსტო მომსახურებისგან და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული მომსახურების სხვა სახეობებისგან.

3. სპეციალური საფოსტო მომსახურება შედგება სპეციალური საფოსტო გზავნილებისგან და დიპლომატიური ფოსტისგან.

მუხლი 15. უნივერსალური საფოსტო მომსახურება

1. უნივერსალური საფოსტო მომსახურება საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირით მომსახურების ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

2. უნივერსალური საფოსტო მომსახურების შემადგენელი ნაწილია უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურება.

3. მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უნივერსალური საფოსტო მომსახურებას და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურებას ახორციელებს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი.

4. უნივერსალური საფოსტო მომსახურება შედგება შემდეგი ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მომსახურებისაგან:

ა) ორ კილოგრამამდე წონის პრიორიტეტული და არაპრიორიტეტული წერილობითი კორესპოდენციის მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ჩაბარება;

ბ) ორ კილოგრამამდე წონის უბრალო და რეგისტრირებული წერილების, საფოსტო ბარათების, ბეჭდვითი გამოცემების და მცირე პაკეტების მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ჩაბარება;

გ) შვიდ კილოგრამამდე წონის სეკოგრამების მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ჩაბარება;

დ) ქვეყნის ტერიტორიაზე ერთ ადრესატზე დამისამართებული ოცდაათ კილოგრამამდე წონის სპეციალური "M" ტომრების, რომლებიც შეიცავს გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს, წიგნებს და სხვა მსგავს პროდუქციას მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ჩაბარება;

ე) ქვეყნის ტერიტორიაზე ოც კილოგრამამდე წონის ამანათების მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ჩაბარება.

ვ) საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება, დამუშავება, გაგზავნა და ჩაბარება.

5. უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურება შედგება შემდეგი საფოსტო გზავნილების მომსახურებისაგან:

ა) 100 გრამამდე წონის ადგილობრივი და საერთაშორისო წერილებისა და საფოსტო ბარათების მიღება, დამუშავება, გადაზიდვა და ჩაბარება,

ბ) სახმელეთო ან/და საზღვაო გზით საქართველოში გამოგზავნილი ან/და საქართველოდან გასაგზავნი 30 კილოგრამამდე წონის საერთაშორისო ამანათის მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ადრესატისათვის ჩაბარება.

6. უნივერსალური საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი საფოსტო გზავნილის მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას და ჩაბარებას ახორციელებს მინიმალურად დღეში ერთხელ კვირაში ექვსი დღე. სოფლად და ძნელად მისადგომ მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში დასაშვებია ფოსტის ცვლის და დატარების ნაკლები ინტენსივობა, რომელიც ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ ყოველწლიურად წესდება სამინისტროსთან შეთანხმებით. საფოსტო გზავნილებათა ადრესატისათვის ჩაბარების საკონტროლო ვადები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებისა და მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტებით;

მუხლი 16. ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურება

1. ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურება საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების შემადგენელი ნაწილია.

2. ჩვეულებრივ საფოსტო მომსახურებას მიეკუთვნება იმ წერილობითი კორესპოდენციის და ამანათების მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვა და ჩაბარება, რომლებიც არ მიეკუთვნება უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების სახეობებს. .

3. ჩვეულებრივ საფოსტო მომსახურებას ქვეყნის ერთი ან რამოდენიმე ქალაქის ან/და მუნიციპალიტეტის ან/და რეგიონის ან/და მთელს ტერიტორიაზე განახორციელებენ საფოსტო ოპერატორები.

4. ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი საფოსტო ოპერატორები საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვას და ჩაბარებას ახორციელებენ მინიმალურად კვირაში ხუთი დღე, სოფლად და ძნელად მისადგომ მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში დასაშვებია ფოსტის ცვლის და დატარების ნაკლები ინტენსივობა.

საფოსტო გზავნილებათა ადრესატისათვის ჩაბარების საკონტროლო ვადები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით და მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტებით.

მუხლი 17. საკურიერო საფოსტო მომსახურება

1. საკურიერო საფოსტო მომსახურება საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების შემადგენელი ნაწილია.

2. საკურიერო საფოსტო მომსახურებას განახორციელებს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო ოპერატორები.

3. საკურიერო საფოსტო მომსახურება წარმოადგენს ერთი და იგივე ავტორიზებული პირის მიერ მისი ქსელის საშუალებით საკურიერო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას და ადრესატისთვის სწრაფად ჩაბარებას პრინციპით "მომხმარებლის კარიდან ადრესატის კარამდე".

4. საკურიერო საფოსტო მომსახურების განმახორციელებელი საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები საკურიერო საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას და ადრესატისათვის ჩაბარებას ახორციელებენ კვირაში შვიდი დღე. საკურიერო საფოსტო გზავნილებათა ადრესატისათვის ჩაბარების საკონტროლო ვადები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით.

მუხლი 18. დაჩქარებული ფოსტა / EMS

1. დაჩქარებული ფოსტა/**EMS** საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების შემადგენელი ნაწილია.
2. დაჩქარებული ფოსტა/**EMS** წარმოადგენს საფოსტო წერილობითი კორესპოდენციის და ამანათების მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვას და ჩაბარებას დაჩქარებულად, შესაძლო მოკლე ვადაში.
3. დაჩქარებული ფოსტით მომსახურებას განახორციელებენ:

ა) ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე – საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო ოპერატორები;

ბ) საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე - საფოსტო ოპერატორები საზღვარგარეთის ქვეყნების საფოსტო ოპერატორებთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

გ) **EMS**-ით მომსახურებას - საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორებთან ან მსოფლიო საფოსტო კავშირში რეგისტრირებულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 19. კომპლექსური საფოსტო ლოგისტიკა

1. კომპლექსური საფოსტო ლოგისტიკა საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების შემადგენელი ნაწილია.

2. კომპლექსური საფოსტო ლოგისტიკა წარმოადგენს საფოსტო მომსახურების სახეობას, სადაც საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორებს ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმების საფუძველზე იწარმოება ცალკეული ან/და გაერთიანებული დოკუმენტების ან/და საქონლის შეგროვება, მიღება, დამუშავება, დასაწყობება, დატვირთვა (გადმოტვირთვა), გაგზავნა, ტრანსპორტირება და ჩაბარება.
3. კომპლექსური საფოსტო ლოგისტიკით მომსახურებას განახორციელებენ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო ოპერატორები.

მუხლი 20. ელექტრონული საფოსტო მომსახურებები

1. ელექტრონული საფოსტო მომსახურებები საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების შემადგენელი ნაწილია.
2. ელექტრონული საფოსტო მომსახურებები წარმოადგენენ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო ოპერატორების მიერ საფოსტო და ინფოკომუნიკაციების ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით მომხმარებლებისგან წერილობითი კორესპოდენციის:

   ა) ელექტრონულ ფორმატში მიღებას, მის მატერიალურ ფორმატში გადაყვანას და ადრესატისთვის გადაცემას (ჩაბარებას).

   ბ) მატერიალურ ფორმატში მიღებას, მის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას და ადრესატისთვის გადაცემას (ჩაბარებას).

   გ) ელექტრონულ ფორმატში მიღებას და ამავე ფორმატში ადრესატისთვის გადაცემას (ჩაბარებას).
3. ელექტრონულ საფოსტო მომსახურებებს განახორციელებენ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო ოპერატორები.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი მომსახურებების გაწევისას საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო ოპერატორები მატერიალურ ან/და ელექტრონულ ფორმატებში წერილობითი კორესპოდენციის მიღებას, დამუშავებას, დამოწმებას და ადრესატისთვის გადაცემას (ჩაბარებას) განახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების დაცვით.

მუხლი 21. საგადახდო საფოსტო მომსახურებები

1. საგადახდო საფოსტო მომსახურებებს მიეკუთვნებიან:

ა) ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო ფულადი გზავნილები - რომლებიც მომხმარებლისგან მიიღება, მუშავდება, იგზავნება და ადრესატს ბარდება საფოსტო კავშირის ერონული (დანიშნული) ოპერატორის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების მოთხოვნათა დაცვით, საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ (დანიშნული) ოპერატორებთან ან მსოფლიო საფოსტო კავშირში რეგისტრირებულ საერთაშორისო

ორგანიზაციასთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებითა და პირობების შესაბამისად.

ბ) ადგილობრივი საფოსტო ფულადი გზავნილები - რომლებიც მომხმარებლისგან მიიღება, მუშავდება, იგზავნება და ადრესატს ბარდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედი საფოსტო კავშირის ოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 22. მომსახურების სხვა სახეობები

1. მომსახურების სხვა სახეობები გულისხმობს საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებულ საფოსტო მომსახურების ნებისმიერ სხვა სახეობას, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ კანონით, მაგრამ სამინისტროს ნორმატიული აქტით იქნება აღიარებული როგორც საფოსტო მომსახურების სახეობა.

მუხლი 23. სპეციალური საფოსტო მომსახურება

1. სპეციალური საფოსტო მომსახურებას მიეკუთვნებიან: სპეციალური საფოსტო გზავნილები და დიპლომატიური ფოსტა.
2. სპეციალური საფოსტო გზავნილები - წარმოადგენენ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების, თავდაცვის, უშიშროების და მართლწესრიგის დაცვის ორგანიზების შეზღუდული სარგებლობის, საიდუმლო, სრულიად საიდუმლო, განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტების ან/და ნივთების შემცველ წერილებს, მცირე პაკეტებს და ამანათებს რომელთა მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვას და ჩაბარებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განახორციელებენ სპეციალური საფელდეგერო სამსახურები.
3. დიპლომატიური ფოსტა - წარმოადგენს საფოსტო გზავნილებს, რომელთა მიღება, დამუშავება, გაგზავნა, გადაზიდვას და ჩაბარება ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვით.

ა) საქართველოს ტერიტორიაზე დიპლომატიური ფოსტა და საკონსულო ვალიზა ხელშეუხებელია, ისინი არ გადიან საბაჟო შემოწმებას და თავისუფლდებიან ყოველგვარი საბაჟო გადასახადებისგან.

ბ) დიპლომატიური ფოსტის და საკონსულო ვალიზის შიდა და საერთაშორისო ყველა გზავნილებს და ყველა დასტას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები წარწერით „tic Post", რომლებიც მიუთითებს მათ ხასიათს და მათში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისათვის.

გ) დიპლომატიურ კურიერს მისი მოვალეობის შესრულებისას იცავს სახელმწიფო და იგი ხელშეუხებელია.

დ) იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საკონსულო ვალიზა ოფიციალური გამოყენებისთვის გათვალისწინებული კორესპოდენციის და ნივთების გარდა შეიცავს სხვა რამესაც, კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ

საკონსულო ვალიზის გახსნა წარმდგენი სახელმწიფოს რწმუნებულის თანდასწრებით, თუ წარმდგენი სახელმწიფოს რწმუნებული უარს იტყვის ამ მოთხოვნის შესრულებაზე საკონსულო ვალიზა ბრუნდება გაგზავნის ადგილზე.

ე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთობლივად შეიმუშავებს დიპლომატიური ფოსტის და საკონსულო ვალიზის მიმოსვლის წესს, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. კანონდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური საფოსტო მომსახურების გაწევა შესაძლებელია განახორციელოს ეროვნულმა (დანიშნულმა) ოპერატორმაც.

მუხლი 24. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი

1. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის სტატუსის მატარებელია საფოსტო კავშირის ავტორიზებული პირი, რომელსაც საფოსტო კავშირით მომხარებელთა მომსახურების უზრუნველსაყოფად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური პერსონალი.

2. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მომხმარებლების უზრუნველყოფა საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირის მომსახურებით. იგი ვალდებულია და პასუხისმგებელია მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე აწარმოოს უნივერსალური საფოსტო მომსახურება, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში, ხოლო სეკოგრამების მიღება, გაგზავნა, გადაზიდვა, ჩაბარება მათი ავიაგადაზიდვის ღირებულების გარდა განახორციელოს უფასოდ.

3. ამ კანონის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად მხოლოდ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის უფლებამოსილებას წარმოადგენს განახორციელოს: უნივერსალური საფოსტო მომსახურება; უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურება; აგრეთვე მიიღოს და გაყიდოს საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გადახდის (საპასუხო) კუპონი. საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორებთან გაცვალოს საერთაშორისო საფოსტო გზავნილები და აწარმოოს ურთიერთანგარიშსწორება.

4. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს უფლება აქვს სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, მიწაზე, ქუჩებში და სარეკრიაციო ზონებში განათავსოს საფოსტო ყუთები, ხოლო შენობა-ნაგებობებში(ზე) სააბონენტო საფოსტო ყუთები.

5. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორებთან, მსოფლიო საფოსტო კავშირთან, საფოსტო კავშირის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

6. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს არ აქვს უფლება საფოსტო სფეროში დასაქმებულ რომელიმე სხვა ავტორიზებულ პირს რაიმე ფორმით გადასცეს

მომხმარებელთა უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულებები და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების უფლებამოსილება.

7. უნივერსალური საფოსტო მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ტარიფების დადგენისთვის საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი ვალდებულია მომსახურების სახეობების მიხედვით განცალკევებულად აწარმოოს უნივერსალური საფოსტო მომსახურების, უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ხარჯების, შემოსავლების და პროდუქციის აღრიცხვა.

8. ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საფოსტო კავშირის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

9. ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი უნივერსალური საფოსტო მომსახურების ხარისხიანად და დადგენილ ვადებში განხორციელების მიზნით, სარგებლობს სახელმწიფო დაწესებულებსა და მათ მიერ დაფუძნებულ სუბიექტებში დაცული მომხმარებელთა საბაზისო პერსონალური მონაცემების ავტომატურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით გამოთხოვნის უფლებით, აგრეთვე ამ მიზნით მომხმარებელთა მონაცემების საკუთარი ბაზის შექმნის უფლებით.

10. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს არ ეზღუდება უფლება განახორციელოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა ისეთი საქმიანობაც, რომელიც არ არის დაკავშირებული საფოსტო მომსახურებასთან.

მუხლი 25. საფოსტო კავშირის ოპერატორი

1. საფოსტო კავშირის ოპერატორის სტატუსის მატარებელია საფოსტო სფეროში ავტორიზებული პირი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს ქვეყნის ერთი ან რამოდენიმე ქალაქის ან/და მუნიციპალიტეტის ან/და რეგიონის ან/და ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი მოთხოვნის დაცვით განახორციელოს მომხმარებელთა მომსახურება, საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირით მომსახურების სხვადასხვა კონკრეტული სახეობებით.
2. საფოსტო კავშირის ოპერატორს საქმიანობის დასაწყებად უნდა გააჩნდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური პერსონალი.
3. საფოსტო კავშირის ოპერატორს არ ეზღუდება უფლება განახორციელოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა ისეთი საქმიანობაც, რომელიც არ არის დაკავშირებული საფოსტო მომსახურებასთან.

მუხლი 26. სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორი

1. სპეციალური საფოსტო გზავნილებათა მიღების, დამუშავების, გაგზავნის, გადახიდვის და ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს კანონის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების შესაბამისად შექმნილ სპეციალურ საფელდეგერო

სამსახურებს, რომლებსაც ეს კანონი ანიჭებს სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორის სტატუსს.

2. სპეციალური საფოსტო გზავნილები ხელშეუხებელია. სპეციალური საფოსტო გზავნილებს უნდა გააჩნდეთ თვალსაჩინო გარეგანი, მათი დამახასიათებელი ნიშანი.

3. სპეციალური საფელდეგერო მომსახურების სატრანსპორტო საშუალებებს გააჩნიათ სპეციალური სამსახურის ავტომობილის სტატუსი და სპეციალური სიგნალები. სასამსახურო მოვალეობის შესრულების დროს ფელდეგერები და სპეციალური ავტომობილები არ ექვემდებარებიან შემოწმებას ან/და დაკავებას.

4. უფლებამოსილი სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განსაზღვრული სპეციალური საფელდეგერო სამსახურების ფუნქციონირების და მათ მიერ სპეციალური საფოსტო გზავნილის მიღების, დამუშავების, გაგზავნის, გადაზიდვის და ჩაბარების წესები და ამ სამსახურების მუშაობის რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" და მისგან გამომდინარე ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე ამ კანონს.

5. სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორი საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სპეციალური საფოსტო კავშირის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

მუხლი 27. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორების ზოგადი უფლება-მოვალეობები

I. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ვალდებულები არიან:

ა) შეასრულონ საფოსტო სფეროში საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) უზრუნველყონ მომსახურების სახეობებთან და მათ ხარისხთან კანონმდებლობით, მსოფლიო საფოსტო კავშირის და საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ნორმების დაცვა;

გ) უზრუნველყონ საფოსტო გზავნილების და მომხმარებელთა პირადი მონაცემების საიდუმლოების დაცვა;

დ) უზრუნველყონ საფოსტო გზავნილების უსაფრთხოების დაცვა;

ე) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ მოსახლეობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანოები საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირით;

ვ) არ დაუშვან მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალული საფოსტო გზავნილების მიღება, დამუშავება, გაგზავნა და ჩაბარება, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება;

ზ) უზრუნველყონ იმ საფოსტო გზავნილების, შეტყობინებების და ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიღება, გაგზავნა და ჩაბარება, რომლებიც შეეხება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, სახელმწიფო უსაფრთხოებას, სტიქიურ უბედურებას, ტექნოგენურ კატასტროფებს, ავარიებს, ეპიდემიებს და ეპიზოოდიებს;

თ) ყოველწლიურად ან/და ცვლილებების შემთხვევაში მომხმარებლებს მიაწოდონ სრული ინფორმაცია საფოსტო კავშირით მომსახურების სახეობების და ტარიფების, საფოსტო გზავნილებათა განვლადობის საკონტროლო ვადების, ფოსტის ცვლის და დატარების, საფოსტო განყოფილებების და სერვის ცენტრების მუშაობის განრიგის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია განათავსონ თავის ვებგვერდზე, ყოველ საფოსტო განყოფილებაში და სერვის ცენტრებ ში;

ი) დაიცვან მომხმარებელთა უფლებები

კ) მომხმარებელს აუნაზღაურონ რეგისტრირებული ან/და დაზღვეული საფოსტო გზავნილების დაზიანებით, ძარცვით, განადგურებით ან/და ქურდობით მიყენებული ზარალი იმ შემთხვევების გამონაკლისის გათვალისწინებით, რომელიც აღნიშნულია ამ კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტში;

ლ) ქვეყნის შიგნით ან/და საერთაშორისო საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება, გაგზავნა და გაცემა განახორციელონ "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის დაცვით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

მ) დაშვების მსურველმა ოპერატორებმა წერილების კონვერტებზე დაიტანონ კომპანიის დასახელება.

ნ) ამ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისის გარდა, დანიშნულებით არ გააგზავნონ და მომხმარებელს უკან დაუბრუნონ გადაუხდელი ან არასრულად გადახდილი საფოსტო გზავნილებანი;

ო) საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო ანგარიშგებისთვის, მომსახურების შესაბამის სეგმენტზე კონკურენტუნარიანი გარემოს განსაზღვრისთვის მომსახურების სახეობების მიხედვით განცალკევებულად აწარმოონ ხარჯების, შემოსავლების და პროდუქციის მოცულობის აღრიცხვა.

2. საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად შეიმუშაონ საფოსტო კავშირით მომსახურების სტანდარტული პირობები, რომლებიც უნდა მოიცავდეს: მომსახურების სახეების ჩამონათვალს; მომსახურების ხარისხის აღწერას; მომსახურების სტანდარტებს; მომსახურების ღირებულებას; გადახდის მეთოდებს; საფოსტო გზავნილების დაკარგვით, ძარცვით, განადგურებით ან/და დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესს და ვალდებულებებს, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესს, მხარეთა უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალს. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს განათავსებენ თავის ვებ გვერდზე, საფოსტო განყოფილებებში და სერვის ცენტრებში.

3. მომხმარებელთან, ხელშეკრულება სტანდარტული პირობებით დადებულად ითვლება მომხმარებლის მიერ საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდის და საფოსტო გზავნილების მიღების მომენტიდან.

4. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები უფლებამოსილნი არიან საფოსტო კავშირის საშუალებებით მომსახურების გასაწევად საქართველოს კანონმდებლობის დაცვით შექმნან მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების

გაზა, სახელმწიფო ორგანიზაციებისგან ელექტრონული ფორმით გამოითხოვონ მოქალაქეთა საბაზისო მონაცემები.

5. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები უფლებამოსილნი არიან საფოსტო კავშირის საშუალებებით მომსახურებისას საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების დაცვით მატერიალური ან/და ელექტრონული (მათ შორის საარქივო მასალის) სახით შექმნან, მიიღონ, გააგზავნონ და გასცენ დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, გამოიყენონ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ან/და ციფრული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს.

6. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები უფლებამოსილნი არიან დადგენილი წესით დააკავონ ნებისმიერი საფოსტო გზავნილი თუ იწვევს ეჭვს, რომ გზავნილი შეიძლება შეიცავდეს ამ კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საგნებს, ნივთიერებებს, მასალებს, ცხოველებს, პროდუქტებს ან/და კონტრაბანდას. ამ შემთხვევაში საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორი გზავნილს საფოსტო კავშირის დადგენილი წესით გადასცემს კომპეტენტურ ორგანოებს და მომხმარებლის წინაშე პასუხს არ აგებს კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

7. ავტორიზებულ პირს არ აქვს უფლება შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე ისარგებლოს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ან საფოსტო კავშირის ოპერატორის ობიექტებით.

მუხლი 28. ტარიფები

1. საფოსტო კავშირით მომსახურების ტარიფებს ადგენენ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები.

2. ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ წარდგენილი უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ზედა ზღვრულ ტარიფს განიხილავს და ითანხმებს კომისია.

3. უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფები ყოველწლიურად მტკიცდება ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ. ზღვრული ტარიფები უნდა უზრუნველყოფდნენ ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ეკონომიკურად დასაბუთებული ხარჯების კომპენსაციას, და მოგების დასაბუთებული ნორმის ანაზღაურებას. ამასთან, ხარჯებში ასევე შეიტანება ის ინვესტიციები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნივერსალური საფოსტო მომსახურებასთან.

4 საფოსტო კავშირის ორგანიზაციების სამსახურებრივი საფოსტო გზავნილები, აგრეთვე უსინათლოთა ან/და მათთვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილები - შვიდ კილოგრამამდე წონის სეკოგრამები თავისუფლდებიან საფოსტო მომსახურების საფასურისაგან, გარდა მათი ავიაგადაზიდვების ღირებულების გადასახადისა.

მუხლი 29. საქართველოს საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნები

1. საქართველოს საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნებია: საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკები, მარკირებული კონვერტები და მარკირებული ღია ბარათები, აგრეთვე ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი.

2. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკები წარმოადგენს საქართველოს სუვერენტეტის გამოხატვის ატრიბუტს და საფოსტო გზავნილის გაგზავნის საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებას. საფოსტო მარკები აგრეთვე გამოიყენება ფილატელისტთა (კოლექციონერთა) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ეროვნულ საფოსტო მარკებს გააჩნიათ წარწერები: „საქართველო", „Georgia", გამოცემის წელი, ნომინალური ღირებულება ლარებში.

3. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკები უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო საფოსტო კავშირის კონვენციის და აქტების მოთხოვნებს, უნდა უკავშირდებოდეს ქვეყანას ან/და მის კულტურულ თავისებურებებს; ხელს უწყობდეს კულტურის გავრცელებას ან/და მშვიდობის შენარჩუნებას; არ უნდა ატარებდეს პოლიტიკურ ხასიათს და არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი რომელიმე პიროვნების ან ქვეყნისათვის. მათი თემები და სიუჟეტები უნდა ასახავდეს, ქვეყნის: ისტორიულ წარსულს და გამოჩენილ მოღვაწეებს; კულტურას, ხელოვნებას, ფლორას, ფაუნას; მიღწევებს მეცნიერებაში, ეკონომიკაში, სპორტში; საშინაო და საგარეო პოლიტიკური ცხოვრების მთავარ მოვლენებს.

4. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკების გამოცემის, მიმოქცევაში გაშვების და მიმოქცევიდან ამოღების უფლება აქვს მხოლოდ სამინისტროს.

5. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკების გამოცემის, მიმოქცევაში გაშვების და მიმოქცევიდან ამოღების, საკოლექციო კატეგორიაში გადაყვანის, ტიპოგრაფიული ბეჭდვის და გავრცელების საკითხები რეგულირდება სამინისტროს ნორმატული აქტით დამტკიცებული დებულების და სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი ნორმატული აქტებით.

6. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკები ტიპოგრაფიული სახით შეიძლება დატანილ იქნეს კონვერტებზე და ღია ბარათებზე, რის შემდეგაც ისინი მიიჩნევიან მარკირებულ კონვერტებად და ღია ბარათებად.

7. საფოსტო გზავნილების გასაგზავნად საზღვარგარეთის ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციათა მიერ გამოცემული საფოსტო მარკების გამოყენება ან/და მიმოქცევიდან ამოღებული ეროვნული საფოსტო მარკის გამოყენება, ეროვნული საფოსტო მარკის ხელმეორედ გამოყენება ან/და მიმოქცევაში გაშვება აკრძალულია.

8. საფოსტო გზავნილების გაგზავნის საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებად ავტორიზებულ პირთა მიერ შეიძლება გამოიყენებულ იქნეს საფოსტო მარკები ან ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი. ფრანკირების მანქანის ანაბეჭდების გამოყენების უფლებას გასცემს სამინისტრო. ფრანკირების მანქანის ტვიფრის ნიმუში მტკიცდება სამინისტროს ნორმატიული აქტით.

9. მხოლოდ სამინისტროს ნორმატიული აქტით არის შესაძლებელი საფოსტო მარკების ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდვა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საფოსტო ოპერატორები მათ გამოიყენებენ საფოსტო გზავნილების გაგზავნის საფასურის დასადასტურებლად. ყველა სხვა შემთხვევაში საფოსტო მარკების ნომინალური ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდვა აკრძალულია.

10. ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან მომხმარებლისგან მიიღონ და გააგზავნონ მხოლოდ საქართველოს საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნებით ნიშანდებული საფოსტო გზავნილები, გარდა საკურიერო, სპეციალური და დიპლომატიური საფოსტო გზავნილებისა, რომლებიც ადრესატისთვის ჩაბარებამდე ფრანკირების მანქანის ანაბეჭდით ნიშანდებას გადიან ოპერატორის ოფისში

11. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ უნივერსალური საფოსტო მომსახურებას და უნივერსალური სარეზერვო საფოსტო მომსახურებას მიკუთვნებული საფოსტო გზავნილებათა გაგზავნის საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებად გამოიყენება საფოსტო მარკები, მარკირებული კონვერტები კონვერტები და მარკირებული ღია ბარათები. იგი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში და საფოსტო კავშირით მომსახურების სხვა სახეობებით მომსახურების გაწევისას გამოიყენოს ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი, რომლის ნიმუშს ამტკიცებს სამინისტრო.

12. ყალბი საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გადახდის (საპასუხო) კუპონების ან/და ფრანკირებული მანქანის ყალბი ტვიფრის წარმოების, რეალიზაციისა და გავრცელებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

13. პირის მიერ მისი პირადი გამდიდრების ან/და მესამე პირის გამდიდრების მიზნით საფოსტო გზავნილებიდან საფოსტო მარკის ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის მოცილებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 30. დაუშვებელი საფოსტო გზავნილები, აკრძალვები

1. დაუშვებელია იმ ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილებათა მიღება, გაგზავნა, ჩაბარება ან/და ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება, რომლებიც შეიცავენ ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში ჩამოთვლილ აკრძალულ საგნებს, ნივთიერებებს, ცხოველებს,

პროდუქტებს ან მასალებს და რომლებიც შესაძლებელია შემდგომში დამატებით განსაზღვრული იქნას სამინისტროს მიერ, აგრეთვე რომლებიც არ შეესაბამებიან მსოფლიო საფოსტო კავშირის კონვენციის და რეგლამენტების მოთხოვნებს.

2. საფოსტო კავშირის საშუალებით აკრძალულია შემდეგი საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა:

ა) ნარკოტიკები და ფსიქოტროპული საშუალებები;

ბ) რადიაქტიური ნივთიერებანი;

გ) ფეთქებადი, აალებადი, ტოქსიკური, ბიოლოგიური, ინფექციური და სხვა საშიში ნივთიერებანი;

დ) იარაღი, არააღჭურვილი ფეთქებადი მოწყობილობები და საბრძოლო მასალები, მათ შორის არააღჭურვილი ყუმბარები, ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, აგრეთვე ასეთი მოწყობილობებისა და საგნების მულაჟები;

ე) უხამსობის და უზნეობის შემცველი საგნები, საგნები რომლებსაც კავშირი აქვთ პედიფილიასთან და ბავშვთა პორნოგრაფიასთან;

ვ) ცოცხალი ცხოველები;

ზ) ფულის ნიშნები, საბანკო და საკრედიტო ბილეთები, დაუმუშავებელი პლატინა, ოქრო და ვერცხლი ან/და მათი ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები, საიუველირო ნაწარმი და სხვა ძვირფასი ნივთები;

თ) საგნები, რომელთა იმპორტის ან ექსპორტის აკრძალვა ან შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონმდებლობით;

ი) კონტრაფაქტული ან მეკობრული საგნები;

კ) საგნები, რომლებიც თავისი ხასიათით ან შეფუთვით შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს საფოსტო კავშირის, სატრანსპორტო გადამზიდავთა მუშაკებისათვის, საშუალებებისთვის ან მოსახლეობისათვის, აბინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, საფოსტო კავშირის მოწყობილობებს ან მესამე მხარის საკუთრებას;

ლ) გზავნილები, რომლებიც იგზავნება თაღლითობის ხელშესაწყობად ან გადასახდელი თანხის სრული გადახდის თავიდან აცილების მიზნით;

მ) მალფუჭებადი პროდუქტი

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტში აღნიშნული ნივთების მიღების, გაგზავნის, გადაზიდვის, მიღების და ადრესატისთვის ჩაბარების უფლება აქვს მხოლოდ სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორს და მასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ფულის ნიშნების, საბანკო და საკრედიტო ბილეთების, დაუმუშავებელი პლატინა, ოქრო და ვერცხლი ან/და მათი ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები, საიუვილერო ნაწარმის და სხვა ძვირფასი ნივთების ქვეყნიდან გაგზავნა და ქვეყანაში შემოტანა ხორციელდება საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ოფიციალურ სტრუქტურებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად.

4. საერთაშორისო საფოსტო გზავნილებაში დაუშვებელია აგრეთვე ისეთი ნივთიერების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ჩადება, რომლებიც აკრძალულია საფოსტო გზავნილის ადრესატის ქვეყანაში ან აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით და აქტებით;

5. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ვალდებულნი არიან მომხმარებლებს მიაწოდონ ნივთიერებების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ჩამონათვალი, რომელთა საფოსტო კავშირით გაგზავნა აკრძალულია ან შეზღუდულია. აღნიშნული ინფორმაცია განათავსონ თავის ვებ გვერდზე, საფოსტო განყოფილებაში და სერვისცენტრებში.

6. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების შემცველი საფოსტო გზავნილები ექვემდებარება კონფისკაციას, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. ამ შემთხვევაში საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები პასუხს არ აგებენ მომხმარებლების წინაშე.

7. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები პასუხს არ აგებენ მომხმარებლის მიერ შევსებულ საბაჟო დეკლარაციაზე და აგრეთვე იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც საბაჟო ორგანოების მიერ იქნება მიღებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების შემოწმებისას. ამასთან ერთად, ისინი მომხმარებლებს აწვდიან სრულყოფილ ინფორმაციას ქვეყანაში მოქმედი საბაჟო ფორმალობების დაცვის შესახებ.

8. საფოსტო გზავნილებით აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნისათვის, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარებისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 31. მომსახურების ხარისხი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

1. მომხმარებელს აქვს საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების სახეობის თავისუფლად არჩევის საშუალება.

2. საფოსტო მომსახურების ხარისხი განისაზღვრება მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით და სამინისტროს მიერ დადგენილი საფოსტო წესებით, ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს კომისია.

3. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ვალდებულნი არიან მომხმარებლებს მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით და საფოსტო წესებით დადგენილი ხარისხის და სტანდარტების შესაბამისად მიაწოდონ მომსახურება.

4. მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით დადგენილი მომსახურების ხარისხის და საფოსტო წესების დაცვაზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს კომისია.

5. საფოსტო სფეროში მომხმარებელთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს იცავს კომისია და კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი.
6. მომხმარებელს უფლება აქვს საფოსტო წესების დაცვით გააგზავნოს ან მიიღოს საფოსტო გზავნილი ან/და უარი განაცხადოს მის მიღებაზე ან/და უკან დაიბრუნოს მის მიერ გაგზავნილი საფოსტო გზავნილი ან/და შეცვალოს ან გაასწოროს გზავნილის მისამართი.

7. საფოსტო გზავნილი, მისი ადრესატისთვის გადაცემამდე ითვლება გამგზავნის საკუთრებად, თუ ის არ დაექვემდებარა კონფისკაციას, ამ კანონის 30–ე მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად.

8. უბრალო საფოსტო გზავნილი ადრესატისთვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააბონენტო საფოსტო ყუთის მეშვეობით გადაცემის დღიდან, ხოლო რეგისტრირებული საფოსტო გზავნილები, რომელთა ადრესატისთვის ჩაბარებაც საჭიროებს ხელმოწერით დადასტურებას, ამგვარი ხელმოწერის განხორციელების მომენტიდან.

9. მომხმარებელს არ აქვს უფლება გააგზავნოს ან/და მიიღოს ამ კანონის საფუძველზე დადგენილი აკრძალული საგნები, ნივთიერებები, ცხოველები, პროდუქტები და მასალები.

10. მომხმარებელს არ აქვს უფლება საფოსტო გზავნილი დააზღვიოს შიგთავსის რეალურ ღირებულებაზე მეტ თანხად, ხოლო დოკუმენტების დაზღვევის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამ დოკუმენტების აღდგენისთვის საჭირო თანხას.

11. მომხმარებელს უფლება აქვს ამ კანონის 32–ე მუხლის შესაბამისად მოითხოვოს გზავნილის დაკარგვით, ძარცვით, ქურდობით, დაზიანებით ან განადგურებით მიღებული ზარალის კომპენსაცია.

12. მომხმარებელს უფლება აქვს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორისაგან და საფოსტო კავშირის ოპერატორებისგან უფასოდ მიიღოს ინფორმაცია მის მიერ გაგზავნილი ან და მასზე დამისამართებული საფოსტო გზავნილის განვლადობაზე, საფოსტო მომსახურების სახეობებზე, ტარიფებზე, სტანდარტებზე, საფოსტო გზავნილის ძარცვით და დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესსა და ვალდებულებებზე, იმ ნივთიერებების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ჩამონათვალზე, რომელთა გაგზავნა აკრძალულია ან შეზღუდულია საფოსტო კავშირით, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესებზე.

მუხლი 32. კომპენსაცია

1. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები პასუხისმგებელნი არიან ზიანისათვის, რომელიც მიყენებული იქნა რეგისტრირებული, ან/და დაზღვეული საფოსტო გზავნილების მიღების, დახარისხების, გადაზიდვის, დატარების ან ჩაბარების ეტაპებზე შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) დაკარგვის, დაზიანების, მარცვის, განადგურების ან ქურდობის გამო;

ბ) ჩაბარების ვადის დარღვევის გამო;

გ) არასწორად განხორციელებული ან სრულიად განუხორციელებელი საფოსტო მომსახურების გამო;

2.საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ვალდებული არიან მომხმარებლებს აუნაზღაურონ ზიანი, რომლის ოდენობასაც საფოსტო გზავნილის კატეგორიების მიხედვით ადგენს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორი მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების და საფოსტო კავშირის წესების შესაბამისად. ანაზღაურების თანხების გადახდისას მომხმარებელს არ აუნაზღაურდება არაპირდაპირი ზარალი ან არარეალიზებული მოგება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება სატრანსპორტო გადამზიდავებზეც და საბაჟო სამსახურზეც თუ საფოსტო გზავნილი ტრანსპორტირების ან საბაჟო კონტროლის განხორციელების დროს დაიკარგა, დაზიანდა, გაიძარცვა, განადგურდა ან მოპარული იქნა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს და საფოსტო კავშირის ოპერატორებს არ ეკისრებათ თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ:

ა) საფოსტო გზავნილის მიღება, დახარისხება, გადაზიდვა, დატარება და ჩაბარება განხორციელდა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების თანახმად;

ბ) ზიანი მიყენებული იქნა დაუძლეველი ძალის გამო;

გ) ზიანი გამოწვეული იქნა საფოსტო გზავნილის შიგთავსის გამო, გამგზავნის ბრალეული ან გაუფრთხილებელი ქმედებით;

დ) საფოსტო გზავნილის გამგზავნმა განზრახ იმაზე მეტ თანხად დააზღვია გზავნილი ვიდრე მისი რეალური ღირებულება იყო.

5. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ საფოსტო გზავნილით გაგზავნილმა ამ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტით აკრძალულმა შიგთავსმა, აგრეთვე წესების დარღვევით შიგთავსის შეფუთვამ გამოიწვია სხვა საფოსტო გზავნილების შიგთავსის ან/და ფოსტის საწარმოს საშუალებების დაზიანება მომხმარებელი მატერიალურად პასუხს აგებს მიყენებული ზიანისთვის რომლის კომპენსირება მომხმარებლის მიერ ხორციელდება საფოსტო კავშირის წესების და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად.

მუხლი 33. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს, საფოსტო კავშირის ოპერატორს და მომხმარებელს შორის დავის განხილვის წესი

1. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს, საფოსტო კავშირის ოპერატორს და მომხმარებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ურთიერთობა რეგულირდება ამ

კანონით, საფოსტო კავშირის წესებით, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ვალდებულნი არიან შექმნან საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ეფექტური შიდა მექანიზმი.

3. მომხმარებლებს უფლება აქვთ საფოსტო მომსახურების მიღების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში საჩივრით მიმართოს საფოსტო კავშირით მომსახურების გამწევ სუბიექტებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მომხმარებელთა საჩივრები განიხილონ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომხმარებლებს უფლება აქვთ მათი უფლებების დარღვევის შესახებ საჩივრით მიმართონ კომისიას, კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს ან/და პირდაპირ სასამართლოს.

5. მომხმარებელთა განცხადებებსა და საჩივრებს განიხილავს კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი. მომხმარებლის საჩივრის განხილვის შედეგად თუ დადგინდა საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა, საზოგადოებრივი დამცველი მიმართავს კომისიას ან/და სასამართლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციის დაკისრების მიზნით.

6. მომხმარებელთა განცხადებებს და საჩივრებს კომისია განიხილავს ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა როდესაც დავის გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა განცხადებების და იმ საჩივრების განხილვა რომლებიც შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, აგრეთვე დაკავშირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებთან კომისია განიხილავს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

თავი IV

საფოსტო კავშირის ქსელები

მუხლი 34. საფოსტო კავშირის ქსელი

1. საფოსტო კავშირის ქსელი წარმოადგენს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის ან/და საფოსტო კავშირის ოპერატორის კუთვნილი ნაგებობების, საშუალებების და საფოსტო მარშრუტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ საფოსტო გზავნილის მიღებას, დამუშავებას, გადაზიდვას და ჩაბარებას.

მუხლი 35. საფოსტო კავშირის ქსელებთან დაშვება

1. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორების მიერ მათი ქსელების შესაბამის ელემენტებთან და თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან, სხვა საფოსტო ოპერატირის დაშვება ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, არადისკრიმინაციული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არის სამართლიანი და ეკონომიკურ მოსაზრებებზე დაფუძნებული.

მუხლი 36. საფოსტო კავშირის ობიექტების სამართლებრივი სტატუსი, განთავსება და მიწათსარგებლობა

1. საფოსტო კავშირის ობიექტები შესაძლებელია იმყოფებოდეს სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში, აგრეთვე ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში.

2. სააბონენტო საფოსტო ყუთების განთავსების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ეროვნულ (დანიშნულ) საფოსტო ოპერატორს. საფოსტო ოპერატორთა, ასევე ნებისმიერ მესამე პირთა მიერ სააბონენტო საფოსტო ყუთების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ (დანიშნულ) საფოსტო ოპერატორთან არადისკრიმინაციული პირობებით შეთანხმების საფუძველზე.

3. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მფლობელ, საფოსტო კავშირის მომხმარებლებს შეუძლიათ თავისი სახსრებით განათავსონ ინდივიდუალური სააბონენტო საფოსტო ყუთები, რომლებიც მათ საკუთრებას წარმოადგენს.

4. სააბონენტო საფოსტო ყუთი როგორც წესი უნდა განთავსდეს შენობა–ნაგებობების შესასვლელთან ახლოს ან შენობა–ნაგებობებში იმგვარად, რომ არსებობდეს მასთან თავისუფალი დაშვების შესაძლებლობა.

5. ახალი საცხოვრებელი/საოფისე შენობა–ნაგებობების მშენებლობისას, სააბონენტო საფოსტო ყუთების განთავსების ადგილი წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული არქიტექტურულ–სამშენებლო პროექტით.

6. ეროვნული (დანიშნული) საფოსტო ოპერატორის მიერ სააბონენტო საფოსტო ყუთის განთავსება არ საჭიროებს არანაირ დამატებით ნებართვას. შენობა–ნაგებობების მესაკუთრეები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ეროვნულ (დანიშნულ) საფოსტო ოპერატორს მათი სარგებლობისათვის განკუთვნილი სააბონენტო საფოსტო ყუთების განთავსებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი თავისუფლდება ისეთი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვალდებულებისაგან, რომელიც სააბონენტო საფოსტო ყუთის სამუალებით ბარდება ადრესატს.

7. საფოსტო მომსახურების მომხმარებელი იურიდიული პირი ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში აცნობოს ეროვნულ (დანიშნულ) საფოსტო ოპერატორს მისამართის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული (დანიშნული) საფოსტო ოპერატორი თავისუფლდება ისეთი საფოსტო გზავნილის ან/და შეტყობინების ჩაბარების ვალდებულებისაგან, რომელიც მომხმარებელს სააბონენტო საფოსტო ყუთის სამუალებით ბარდება.

8. უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელების უზრუნველსაყოფად, საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი უფლებამოსილია სახელმწიფო ან

მუნიციპალური საკუთრების შენობა-ნაგებობაზე, მიწაზე, ქუჩებში და სარეკრიაციო ზონებში მესაკუთრესთან შეთანხმებით, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით განათავსოს საფოსტო ყუთები. საფოსტო ოპერატორების მიერ საფოსტო ყუთების გამოყენება შესაძლებელია ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორთან სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 37. სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება საფოსტო გზავნილების გადასაზიდად.

1. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს და საფოსტო კავშირის ოპერატორებს საფოსტო გზავნილები გადააქვთ მათი კუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით, ასევე ხელშეკრულებების საფუძველზე საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის ყველა სახეობით ფოსტის მუშაკთა თანხლებით, ან სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი იურიდიული პირების პასუხისმგებლობით.

2. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ტვირთების გადაზიდვას ან/და მგზავრთა გადაყვანას ვალდებულნი არიან საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნული) ოპერატორთან და საფოსტო კავშირის ოპერტორებთან დადონ ხელშეკრულება საფოსტო გზავნილებათა გადაზიდვის შესახებ ნებისმიერი მიმართულებით, რომელიც ემთხვევა რეგულარული მიმოსვლის სასოფლო, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ხაზებს, შესაბამისი ანაზღაურებით.

3. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორების სატრანსპორტო საშუალებებს გააჩნიათ სპეციალური სამსახურის ავტომობილის სტატუსი, სპეციალური შეფერილობა და სიგნალები, წარწერა "ფოსტა" და საწარმოს ლოგო.

თავი V
საფოსტო კავშირით მომსახურების სფეროში საქმიანობის საფუძვლები

მუხლი 38. საფოსტო კავშირის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება

1. საფოსტო კავშირის სფეროში კონკურენცია რეგულირდება საქართველოს კანონით „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ" და ამ კანონით.

მუხლი 39. საფოსტო კავშირით მომსახურების სფეროში საქმიანობის საფუძვლები

1. საფოსტო კავშირით მომსახურების სფეროში საქმიანობის საფუძველია დაინტერესებული პირის ავტორიზაცია. ავტორიზაციის საფუძველზე, დაინტერესებული პირი ავტომატურად იძენს საფოსტო ოპერატორის სტატუსს.
2. სამინისტროს გადაწყვეტილებით, მხოლოდ ერთ ავტორიზებულ პირს ენიჭება საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის სტატუსი, რომელიც ასეთი გადაწყვეტილების მიღებისთანავე კარგავს საფოსტო ოპერატორის სტატუსს.

3. ავტორიზაცია გაიცემა საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირის კონკრეტული მომსახურების სახეობაზე.

4. ავტორიზებული პირი, საფოსტო ფულადი გზავნილებით მომსახურების გასაწევად, რეგისტრაციას გადის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" დებულებათა შესაბამისად.

5. საქმიანობის ავტორიზაცია არ არის საჭირო:

ა) სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ორგანიზებისათვის;

ბ) საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის უწყებრივი საკურიერო კავშირის ორგანიზებისთვის, რომელიც იქმნება არაკომერციული მიზნით, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის შიდასაკომუნიკაციო კავშირის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 40. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის ავტორიზაციის განმახორციელებელი ორგანო

1. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას ახორციელებს კომისია, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით:

ა) აწარმოებს ფოსტის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს;

ბ) აკონტროლებს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორისა და საფოსტო ოპერატორების მიერ ფოსტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას.

მუხლი 41. ავტორიზაციისათვის საჭირო განცხადების წარდგენა

1. საფოსტო სფეროში საქმიანობის ავტორიზაციის მსურველი პირი მიმართავს კომისიას განცხადებით, რომლის ფორმას ამტკიცებს კომისია.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის: - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი;

გ) მომსახურების გეოგრაფიული ზონა და საქმიანობის სახეები, რომლის ავტორიზაციასაც მოითხოვს ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი;

დ) მომსახურების მოკლე აღწერილობა.

3. განაცხადს უნდა დაერთოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, აგრეთვე იურიდიული პირის წესდებისა და ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო შესაბამისი დოკუმენტის ასლი.

მუხლი 42. ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრი

1. კომისია აწარმოებს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს, რომელშიც შეიტანება განაცხადის მონაცემები.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში არსებულ მონაცემებს.

მუხლი 43. ერთიანი ავტორიზაციის წესი

1. განაცხადის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, კომისია ახორციელებს საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციით.

2. თუ განაცხადზე თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს გადაწყვეტილებით განუსაზღვრავს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის 5-დღიან ვადას. ამ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ავტორიზაცია არ განხორციელდება. ავტორიზაციის განუხორციელებლობა არ ართმევს პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს კომისიას ავტორიზაციისთვის. თუ კი განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს არ განუსაზღვრავს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის ვადას, პირი ჩაითვლება ავტორიზებულად.

3. ავტორიზაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში კომისია გასცემს ავტორიზაციის მოწმობას.

4. თუ ავტორიზებული პირი წყვეტს საფოსტო კავშირით მომსახურების მიწოდებას, ან განზრახული აქვს საქმიანობის მოდიფიცირება, იგი ვალდებულია მის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას ამის თაობაზე. ავტორიზაციის მოდიფიცირების ან შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია შეიტანება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

5. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით.

6. პირს უფლება აქვს საქმიანობა დაიწყოს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეტანის დღიდან.

მუხლი 44. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის შერჩევის წესი

1. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი შეირჩევა 20 წლის ვადით.

2. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორისათვის მინიჭებული სტატუსის ვადის გასვლის შემდგომ სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის თანხმობის შემთხვევაში ვადის გაგრძელების ან საფოსტო კავშირის ახალი ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის კონკურსის საფუძველზე შერჩევის

შესახებ, რაც სულ ცოტა ერთი თვით ადრე გავრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და განთავსდება ინტერნეტის ქსელში, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. კონკურსის გამართვის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილებაში მოყვანილი უნდა იყოს კონკურსის პირობები და მითითებულ განცხადებათა მიღების დაწყებისა და დამთავრების ვადები.

4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო.

მუხლი 45. ავტორიზებული პირების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) ლიკვიდაცია.

გ) ავტორიზებული პირების გადაწყვეტილება უფლებამოსილების შეწყვეტაზე.

დ) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ე) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას.

მუხლი 46. რეგულირების საფასური

1. რეგულირების საფასურის ოდენობაა ავტორიზებული პირების მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეული დაშვების მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0,5 პროცენტი.

2. ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგინონ მას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კამისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური.

მუხლი 47. ავტორიზებულ პირთა უფლებები და ვალდებულებები

1. ავტორიზებული პირები უფლებამოსილნი არიან:

ა) საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს ან/და ნებისმიერ საფოსტო ოპერატორს მოსთხოვონ ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვება

ბ) კომისიის სამართლებრივი აქტი გაასაჩივრონ სასამართლოში.

2. ავტორიზებული პირები ვალდებულნი არიან:

ა) სრულად მიაწოდონ სამინისტროსა და კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის თაობაზე, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური

დოკუმენტაცია, მისი კონფიდენციალობის მიუხედავად. სამინისტრომ და კომისიამ უნდა დაიცვას კონფიდენციალობა მიწოდებული ინფორმაციისა, რომელიც ითვლება კომერციულ ან პირად საიდუმლოებად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად. განზოგადებული ინფორმაცია მომსახურების ბაზრის შესახებ, ასევე მონაცემები საფოსტო გზავნილებათა რაოდენობის, მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება იყოს კონფიდენციალური. ავტორიზებული პირების მიერ არასწორი ან არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაცის მოუწოდებლობად;

ბ) შეასრულონ ფოსტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, ნორმატიული აქტები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

გ) ავტორიზაციას დაქვემდებარებული მომსახურების მოდიფიცირების, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში სხვა სახის ცვლილებების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში გადაწყვეტილების მიღების დღიდან შეატყობინოს კომისიას, რომელიც აღნიშნულ ცვლილებებს ამ კანონით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული წესით ატარებს რეგისტრაციაში ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში;

დ) თავისი საქმიანობისას დაადგინონ საკუთარი ქსელის ელემენტებთან და თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან დაშვების არადისკრიმინაციული და სამართლიანი ტარიფები;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყონ საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან და თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვება;

ვ) შეინარჩუნონ ქსელის დაცულობა;

ზ) უზრუნველყონ მომსახურების ხარისხთან და სტანდარტებთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვა;

თ) გადაიხადონ რეგულირების საფასური;

მუხლი 48. ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დავების განხილვა და გადაწყვეტა

1. ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დავებს განიხილავს და წყვეტს კომისია ან სასამართლო.

2. კომისიის მიერ ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დავების განხილვა და გადაწყვეტა წარმოებს საქართველოს კანონით "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" დადგენილი წესით.

მუხლი 49. მონიტორინგი, შემოწმება და პასუხისმგებლობა

1. ავტორიზებული პირების მიერ ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების შესამოწმებლად კომისია ახორციელებს ფოსტის სფეროში საქმიანობის მუდმივ და სისტემატურ მონიტორინგს.

2. კომისია ვალდებულია ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, მის მიერ მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების ავტორიზებული პირების მიერ შესრულება და დაცვა გააკონტროლოს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და პირობებით. შემოწმების ჩატარების შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. კომისიის გადაწყვეტილება შემოწმების ჩატარების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

3. შემოწმების ჩატარებამდე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ავტორიზებულ პირს წარუდგინოს პირადობის მოწმობა, თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და შემოწმების შესახებ ადმინისტრაციული აქტი. ასევე ვალდებულია კონტროლის განხორციელებამდე ავტორიზებულ პირს წარუდგინოს მისი უფლებების, მოვალეობების და შესამოწმებელ საკითხთა წერილობითი ჩამონათვალი. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს ავტორიზებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მისი განთავსების ადგილზე, გადაიღოს დოკუმენტების ასლები, მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს წერილობითი ახსნა განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით.

4. შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ადგენს შემოწმების აქტს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით. შემოწმების აქტში უნდა მიეთითოს: შემოწმების ჩატარების დღე, დრო და ადგილი; შემოწმების ჩატარების საფუძველი; შესამოწმებელი პირის მხრიდან შემოწმებაზე დამსწრე პირის ვინაობა; შემოწმებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემოწმდა, ხოლო ასლის გადაღების შემთხვევაში ასლი უნდა დაერთოს აქტს; მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა, ხოლო მათი წერილობით მიწოდების შემთხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს; შემმოწმებელი პირის კომენტარები (მათი არსებობის შემთხვევაში); შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) სხვა ახსნა-განმარტებანი (მათი არსებობის შემთხვევაში); შემმოწმებელი პირისა და შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) ხელმოწერები.

5. თუ შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დარღვეულია ფოსტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და ვალდებულებები, რისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კომისია შემოწმების აქტის საფუძველზე იწყებს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას დამრღვევი პირისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

6. თუ შემოწმების აქტის გარეშეც საკმარისი მტკიცებულებები არსებობს დარღვევის შესახებ, კომისია უფლებამოსილია განახორციელოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

7. საფოსტო ფულადი გზავნილების განხორციელებისას "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას უზრუნველყოფს სსიპ "საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური".

8. კომისია ვალდებულია გამოავლინოს, დადგენილი წესით შეამოწმოს და მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ავტორიზაციის გარეშე საქმიანობენ საფოსტო სფეროში ან ეწევიან არაავტორიზებული საფოსტო მომსახურების სახეობების მიწოდებას.

თავი VI.
საფოსტო კავშირის სფეროში სტანდარტების და მეტროლოგიური ნორმების დაცვა

მუხლი 50. ფოსტის სფეროში მოქმედი სტანდარტები და ნორმები:

1. საფოსტო კავშირის სფეროში მომსახურება და მისი ტექნოლოგიური პროცესები, გამოყენებული ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდნენ მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს, რეგლამენტებს და ნორმებს.

2. საფოსტო კავშირის სფეროში მისაღები სტანდარტების ნუსხას სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, ხოლო სტანდარტების მიღებას განახორციელებს სსიპ "საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო".

3. საფოსტო კავშირის სფეროში მოქმედი სტანდარტების, რეგლამენტების და ნორმების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს კომისია.

მუხლი 51. საფოსტო კავშირის სფეროში მეტროლოგიური ნორმების დაცვა.

1. საფოსტო კავშირის სფეროში მეტროლოგიური ნორმების დაცვა ხორციელდება „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" საქართველოს კანონის მიხედვით.

თავი VII
პასუხისმგებლობა

მუხლი 52. ფოსტის სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა.

1. საფოსტო სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა:

ა) გამოიწვევს წერილობით გაფრთხილებას.

ბ) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

გ) იგივე ქმედება ჩადენილი მესამედ და მეტჯერ, გამოიწვევს ყოველ ცალკეულ შემთვხვევაში დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით;

დ) იგივე ქმედება, ჩადენილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოიწვევს დაჯარიმებას 100 000 ლარის ოდენობით.

ე) იგივე ქმედება, ჩადენილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე განმეორებით, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

2. ავტორიზებული პირის მიერ „საფოსტო კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა

ა) გამოიწვევს წერილობით გაფრთხილებას;

ბ) იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

გ)იგივე ქმედება ჩადენილი მესამედ, გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

დ)იგივე ქმედება ჩადენილი მეოთხედ, გამოიწვევს ავტორიზებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტას.

3. საფოსტო ყუთებისა ან/და საფოსტო სააბონენტო ყუთების თვითნებურად გამოყენება

ა) საფოსტო კავშირის ოპერატორის ან არაავტორიზებული პირის მიერ ეროვნული (დანიშნული) საფოსტო ოპერატორის კუთვნილი საფოსტო ყუთების ან/და სააბონენტო საფოსტო ყუთების თვითნებურად გამოყენება, პირველ ჯერზე გამოიწვევს წერილობით გაფრთხილებას

ბ) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

4. საფოსტო გზავნილების საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკების გარეშე მიღება და გაგზავნა ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის გარეშე გაგზავნა

ა) საფოსტო გზავნილების საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკების გარეშე მიღება და გაგზავნა, ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის გარეშე გაგზავნა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ბ) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

გ) იგივე ქმედება ჩადენილი მესამედ ან მეტჯერ გამოიწვევს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

5. საფოსტო გზავნილების დაზიანება ან/და სხვაზე დამისამართებული საფოსტო გზავნილების დაპატრონება

ა) პირის მიერ საფოსტო გზავნილების განზრახ დაზიანება ან/და სხვაზე დამისამართებული საფოსტო გზავნილების დაპატრონება გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ბ) იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

6. საფოსტო ავტომატების, საფოსტო ყუთების და სააბონენტო საფოსტო ყუთების დაზიანება.

ა) გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ბ) იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

7. საფოსტო კავშირის საშუალებით მალფუჭებადი პროდუქტის გაგზავნა

ა) გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით

8, ამ მუხლში მითითებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით

9. ამ მუხლის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტებში განსაზღვრული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულებას გამოსცემს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ხოლო მეექვსე და მეშვიდე პუნქტებში მითითებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.

მუხლი 53. სანქციებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

1. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. გადაწყვეტილების მიღების თაობაზე წერილობით ეცნობება პირს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

2. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. დამრღვევის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო კომისიის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

4. თუ არ არსებობს გაფრთხილების ან ჯარიმის საფუძველი, ადმინისტრაციული წარმოება დაუყოვნებლივ წყდება.

თავი VIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 54. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 8 თვის გასვლის შემდეგ, საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზაციის გარეშე განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა ითვლება უკანონოდ.

2. სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან

ა) ერთი თვის ვადაში მიიღოს ნორმატიული აქტი შპს "საქართველოს ფოსტის"-თვის საქართველოს საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნულ) ოპერატორის სტატუსის მინიჭების შესახებ და ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

ბ) ორი თვის ვადაში მიიღოს დებულება „საქართველოს საგადახდო ეროვნული ნიშნების შესახებ", რის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9

ივნისის #351 ბრძანებულება „საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

3. კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს ავტორიზაციის მსურველი პირის განცხადების ფორმა, ამ კანონის 15-21 მუხლებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ავტორიზაციის განსახორციელებლად, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, უზრუნველყოს ამ კანონის მიღების მომენტში საფოსტო კავშირის სფეროში მოქმედი ყველა მსურველი მეწარმე სუბიექტის ავტორიზაცია და გასცეს სათანადო დოკუმენტები.

4. სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების მიღება:

ა) "საფოსტო წესების დამტკიცების შესახებ";

ბ) "საფოსტო სფეროში მოქმედი სტანდარტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ";

გ) "საქართველოს ქალაქების და დასახლებული პუნქტების საფოსტო ინდექსების დამტკიცების შესახებ";

დ) „საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ადგილების და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დამუშავების ცენტრების დადგენის შესახებ“.

5. კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) "საფოსტო კავშირით მომსახურებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის შესახებ";

ბ) "მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ";

გ) „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ“.

6. ამ კანონის 23–ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული კანონმდებლობის მიღებამდე, სპეციალური საფოსტო მომსახურების გაწევა სახელმწიფო დაწესებულებებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე და ფარგლებში განახორციელოს საფოსტო კავშირის ეროვნულმა (დანიშნულმა) ოპერატორმაც.

7. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორმა, ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს საფოსტო ყუთების, ხოლო 3 წლის ვადაში სააბონენტო საფოსტო ყუთების ეტაპობრივი განთავსება ქვეყნის დასახლებულ პუნქტებში.

მუხლი 55. კანონის ამოქმედება

წინამდებარე კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

"საფოსტო კავშირის შესახებ"

კანონის პროექტზე

1. *ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ*

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონის მიღების მიზეზია: საქართველოს კანონის "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" 64-ე მუხლის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს "საფოსტო კავშირის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი; გაეროს სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციის - მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრობით საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების და ძირითადი პრინციპების დადგენა; საფოსტო კავშირის ქსელებით და საშუალებებით მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნათა უზრუნველყოფა; საქართველოს მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად და დასაცავად, აგრეთვე საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად ქვეყნის ყველა დასახლებული პუნქტის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად დადგენილი ხარისხის საფოსტო მომსახურებებით – უნივერსალური საფოსტო მომსახურებით უზრუნველყოფა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, საფოსტო კავშირის ქსელებისა და საშუალებების თანამედროვე დონეზე ფუნქციონირების და ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა, მომსახურების არსებული სახეობების სრულყოფა და ახალი სახეობების ფართოდ დანერგვა, საფოსტო კავშირის ბაზრის ეტაპობრივი სრული ლიბერალიზაცია, მეწარმეობის და კონკურენციის განვითარება, ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი შედგება 8 თავისა და 55 მუხლისაგან, იგი გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციის მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ერთიან საფოსტო ტერიტორიაზე ადგენს საფოსტო კავშირის სფეროს სახელმწიფო მართვის და რეგულირების საკითხებს, საფოსტო კავშირის საშუალებებით, მათ შორის უნივერსალური საფოსტო კავშირით, მომსახურების გაწევის, საფოსტო კავშირის ქსელებისა და საშუალებების ფლობის, ფუნქციონირებისა და განვითარების ნორმებს.

<u>**პირველ თავში**</u> მოცემულია კანონპროექტის ზოგადი დებულებები, კერძოდ კანონის გამოყენების სფერო; კანონში გამოყენებული ტერმინები; საქართველოს კანონმდებლობა საფოსტო კავშირის სფეროში; საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის მიზნები და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

მე-5 მუხლით განსაზღვრულია, რომ საფოსტო კავშირის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს საქართველოს პრემიერ მინისტრი, რომელსაც შეიმუშავებს სამინისტრო და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას და მის საფუძველზე შემუშავებულ სახელმწიფო პროგრამებს, ხოლო კომისია თავის უფლებების განხორციელებაში ხელმძღვანელობს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით.

მე-6 მუხლით განისაზღვრა, რომ საფოსტო კავშირის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად. საქართველოს საფოსტო კავშირის ქსელების საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაციისთვის, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის და განმტკიცებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გარანტირებულია საფოსტო გზავნილების გადაადგილების მათ შორის ტრანზიტულად გადაადგილების თავისუფლება. ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლა წარმოებს მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ადგილებსა და საერთაშორისო გზავნილების დამუშავების ცენტრებში. საერთაშორისო საფოსტო გზავნილები, მათ შორის ტრანზიტული საერთაშორისო საფოსტო გზავნილები ექვემდებარება საბაჟო და და სასაზღვრო კონტროლს, რომლის გავლისას მათ, სხვა საქონელთან მიმართებაში ენიჭებათ უპირატესობა.

მე-7 მუხლით განსაზღვრულია, რომ საქართველოს შიგნით დამისამართებული საფოსტო გზანილს მიმღების და გამგზავნის მისამართები დაწერილი უნდა იქნეს სახლმწიფო, ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზეც. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მიმღებისა და გამგზავნის მისამართები დაწერილი უნდა იქნეს მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად.

მე-8 მუხლით განისაზღვრა, რომ საფოსტო გზავნილები და მომხმარებლის პირადი მონაცემები წარმოადგენს მომხმარებელთა საიდუმლოს და მისი დაცვა გარანრიტებულია საქართველოს კანონმდებლობით, აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გასაზღვრულ შემთხვევაში. საფოსტო კავშირის სფეროში დასაქმებული ყველა სუბიექტი, ფოსტის მუშაკები, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების მოხელეები, სატრანსპორტო გადამზიდავები ვალდებულნი არიან დაიცვან საფოსტო გზავნილების და მომხმარებლის პირადი მონაცემების საიდუმლოება, რომლის დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

მე-8 მუხლით განსაზღვრულია საფოსტო უსაფრთხოების საკითხები, რომელიც საფოსტო კავშირის სფეროში დასაქმებულ ყველა სუბიექტს ავალდებულებს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც

უზრუნველყოფენ საფოსტო გზავნილების დაცვას, აკრძალული საგნების, ნივთიერების, ნივთების საფოსტო გზავნილებით გაგზავნის, მიღების ან/და ტრანზიტულად გატარების მცდელობის აღკვეთას.

მე-10 მუხლით გათვალისწინებულია, რომ საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს საერთო სარგებლობის საფოსტო ქსელების და საშუალებების ფუნქციონირების კოორდინაციას განახორციელებს სამინისტრო, ხოლო სპეციალური საფოსტო კავშირის ქსელების კი მათ მფლობელ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად. სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვთმართველობის ორგანოებს, ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს და სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორებს ეკისრებათ ვალდებულება კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ საფოსტო კავშირის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

<u>მეორე თავში</u> მოცემულია საფოსტო კავშრის სფეროს სახელმწიფო მართვის და რეგულირების ორგანოები, მათი ძირითადი ფუნქციები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს საფოსტო კავშირის სფეროში ქვეყნის ადმინისტრაციას, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე, რომელსაც მას აკისრებს გაეროს სპეციალიზირებულ დარგობრივ საერთაშორისო ორგანიზაციაში - მსოფლიო საფოსტო კავშირში (UPU) წევრობა საქართველოს საფოსტო კავშირის სფეროს სახელმწიფო მართვის ორგანოდ განისაზღვრა სამინისტრო, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას უბრუნდება საფოსტო კავშირის სფეროს დმოუკიდებლად რეგულირების ფუნქციაც.

<u>მესამე თავში</u> მოცემულია საფოსტო კავშირით მომსახურების სახეობები და ხარისხი, მომსახურების განმხორციელებელი სუბიექტები, მათი და მომხმარებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები, ტარიფები, საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნები, დაუშვებელი საფოსტო გზავნილები, აკრძალვები, კერძოდ:

მე-14 მუხლით განსაზღვრულია, რომ საფოსტო მომსახურება შედგება საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურებისგან და სპეციალური საფოსტო მომსახურებისგან, რომ თავის მხრივ საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურება შედგება უნივერსალური საფოსტო მომსახურებისგან, ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურებისგან, დაჩქარებული ფოსტისგან/EMS, საკურიერო ფოსტისგან, ელექტრონული მომსახურებისგან, საფოსტო კომპლექსური ლოჯისტიკისგან, საგადახდო საფოსტო მომსახურებებისგან, საერთაშორისო კანომდებლობით აღიარებულ მომსახურების სხვა სახეობებისგან, ხოლო სპეციალური საფოსტო მომსახურება-სპეციალური საფოსტო გზავნილებისგან და დიპლომატიური ფოსტისგან.

მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) და ევროკავშირის შესაბამისი აქტების თანახმად მე-15 მუხლით განსაზღვრულია უნივერსალური საფოსტო მომსახურების სახეობები, რომლებითაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილი იქნება მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში. ქვეყანაში უნივერსალური საფოსტო მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო

ვალდებულებას და ამ ვალდებულების შესრულება ამ კანონის და მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) აქტების შესაბამისად ეკისრება ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს, რომლის ხარჯების საკომპენსაციოდ ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს ენიჭება უფლება გასწიოს უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურება. ეკისრება ვალდებულება დაწესებულ საკონტროლო ვადებში საფოსტო გზავნილების მიღება, დამუშავება, გაგზავნა და ჩაბარება განახორციელოს მინიმალურად დღეში ერთხელ, კვირაში ექვსი დღე, ხოლო სოფლად და ძნელად მისადგომ მაღალმთიან პუნქტებში სამინისტროსთან შეთანხმებით ნაკლები ინტენსიობით. მასვე ევალება უსინათლოთათვის განკუთვნილი სეკოგრამების უსასყიდლოდ (ავიაგადაზიდვების ღირებულების გარდა) მიღება და გაგზავნა. ამასთან ერთად, უნივერსალური საფოსტო მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველსაყოფად 54-ე მუხლის, მე-7 პუნქტის შესაბამისად ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს ევალება კანონით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ქვეყნის დასახლებულ პუნქტებში საფოსტო ყუთების და სააბონენტო საფოსტო ყუთების ეტაპობრივი განთავსება.

უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების და სპეციალური საფოსტო მომსახურების გარდა საფოსტო კავშრის მომსახურების ყველა სეგმენტში, საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზებული პირების საქმინობა არ იზღუდება. რომელთა რიცხვს ამ კანონით მიეკუთვნება ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურება, საკურიერო საფოსტო მომსახურება, დაჩქარებული ფოსტა, კომპლექსური საფოსტო ლოჯისტიკა, ელექტრონული საფოსტო მომსახურებები, რომლებიც მოცემულია კანონპროექტის მე-16 – 21-ე მუხლებში. აქვე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში და ევროპაში საფოსტო კავშირის სრული ლიბერალიზაციის პროცესი საქართველოშიც ეტაპობრივად განხორციელდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების სეგმენტიც სრულიად ლიბერალიზებული გახდება.

ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და საფინანსო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების და საქართველოს კანონმდებლობის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება, დამუშავება, გაგზავნა და ადრესატისთვის ჩაბარება კანონპროექტის 21-ე მუხლით ევალება ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს, რომელსაც შესაძლებლობა გააჩნია უნივერსალური საფოსტო მომსახურების ფარგლებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განახორციელოს აღნიშნული მომსახურება; ხოლო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საფოსტო ოპერატორი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს ადგილობრივი საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება, გაგზავნა და ჩაბარება.

23-ე მუხლში განსაზღვრულია სპეციალური საფოსტო მომსახურების სახეობები- სპეციალური საფოსტო გზავნილები და დიპლომატიური ფოსტა, რომელსაც ამ კანონის და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად განახორციელებენ სპეციალური საფელდეგერო სამსახურები და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ეროვნული (დანიშნული) ოპერატორიც.

კანონპროექტის 23-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, ა) ქვეპუნქტის თანახმად დიპლომატიური ფოსტა და საკონსულო ვალიზა ხელშეუხებელია, ისინი არ გადიან საბაჟო შემოწმებას და თავისუფლდებიან ყოველგვარი საბაჟო გადასახადებისგან, ხოლო ამავე მუხლის, ამ პუნქტის, ბ) ქვეპუნქტის თანახმად დიპლომატიურ კურიერს მისი მოვალეობის შესრულებისას იცავს სახელმწიფო და იგი ხელშეუხებელია. კანონპროექტის 26-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად სპეციალური საფოსტო გზავნილები ხელშეუხებელია, ხოლო სასამსახურო მოვალეობის შესრულების დროს ფელდეგერები და სპეციალური ავტომობილები არ ექვემდებარებიან შემოწმებას ან/და დაკავებას.

24-ე მუხლში განსაზღვრულია საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები, ვალდებულებები და უფლებები. რომლის თანახმად, საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზებულ პირს რომელსაც საფოსტო კავშირით მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველსაყოფად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური პერსონალი. იგი ვალდებულია საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აწარმოოს უნივერსალური საფოსტო მომსახურება მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად ამ კანონის და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების მოთხოვნათა შესაბამისად. სოციალურად ორიენტირებული უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევის საკომპენსაციოდ მხოლოდ ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს აქვს უფლება განახორციელოს უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურება. ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს არ აქვს უფლება საფოსტო კავშირის სფეროში დასაქმებული რომელიმე ავტორიზებულ პირს რაიმე ფორმით გადასცეს მომხმარებელთა უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულება და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების უფლება-მოვალეობა.

25-ე მუხლში განსაზღვრულია საფოსტო კავშირის ოპერატორის მინიჭების კრიტერიუმები, ვალდებულებები და უფლებები რომლის თანახმად, ამ სტატუსის მატარებელია საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზებული პირი რომელსაც საქმიანობის დასაწყებად გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური პერსონალი. იგი უფლებამოსილია ქვეყნის ერთი ან რამოდენიმე ქალაქის ან/და მუნიციპალიტეტის ან/და რეგიონის ან/და მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი მოთხოვნების დაცვით განახორციელოს მომხმარებელთა მომსახურება საერთო სარგებლობის საფოსტო კავშირით მომსახურების სხვა და სხვა კონკრეტული სახეობებით.

26-ე მუხლში განსაზღვრულია სპეციალური საფელდეგერო სამსახურებისთვის სპეციალური საფელდეგერო საფოსტო კავშირის ოპერატორის სტატუსის მინიჭების და მათი ფუნქციონირების საკითხები.

27-ე მუხლში განსაზღვრულია საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორების უფლება-მოვალეობები.

28-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საფოსტო კავშირით მომსახურების ტარიფებს ადგენენ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები, ხოლო ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ წარდგენილ უნივერსალური საფოსტო მომსახურების და უნივერსალური საფოსტო სარეზერვო მომსახურების ზედა ზღვრულ ტარიფებს განიხილავს და ითანხმებს კომისია. საფოსტო კავშირის ორგანიზაციების სამსახურებრივი საფოსტო გზავნილები აგრეთვე უსინათლოთა ან/და მათთვის განკუთნილი საფოსტო გზავნილები - 7 კილოგრამამდე სეკოგრამები (გარდა მათი ავიაგადაზიდვების ღირებულების გადასახადისა) თავისუფლდებიან საფოსტო მომსახურების საფასურისგან.

29-ე მუხლში განსაზღვრულია საქართველოს საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების (საფოსტო მარკების, მარკირებული კონვერტების, მარკირებული ღია ბარათების, ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი) გამოცემის, გამოყენების და გავრცელების საკითხები. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკები წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის გამოხატვის ატრიბუტს და საფოსტო გზავნილის გაგზავნის საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებას, იგი აგრეთვე გამოიყენება ფილატელისტთა მოთხოვნის დასაკმაყოფლებლად. საქართველოს ეროვნული საფოსტო მარკების გამოცემის, მიმოქცევაში გაშვების და მიმოქცევიდან ამოღების უფლება აქვს მხოლოდ სამინისტროს. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან მომხმარებლისგან მიიღონ და გააგზავნონ მხოლოდ საქართველოს საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნებით ნიშანდებული საფოსტო გზავნილები, გარდა საკურიერო, სპეციალური და დიპლომატიური საფოსტო გზავნილებისა რომლებიც ადრესატისთვის ჩაბარებამდე ფრანკირების მანქანის ანაბეჭდით ნიშნანდებას გადიან ოპერატორის ოფისში. საფოსტო გზავნილების გასაგზავნად საზღვარგარეთის ქვეყნებში საფოსტო ადმინისტრაციათა მიერ გამოცემული ან/და მიმოქცევიდან ამოღებული ეროვნული საფოსტო მარკის, ან/და ეროვნული საფოსტო მარკის ხელმეორედ გამოყენება ან/და მიმოქცევაში გაშვება აკრძალულია. ყალბი საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების წარმოებისთვის, რეალიზაციისთვის და გავრცელებისთვის, აგრეთვე პირის მიერ პირადი გამდიდრებისთვის ან/და მესამე პირის გამდიდრებისთვის საფოსტო გზავნილებიდან საფოსტო მარკის ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის მოცილებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

30-ე მუხლში მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად განისაზღვრება იმ საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ნუსხა რომლების საფოსტო გზავნილებით გაგზავნა, მიღება და ჩაბარება ან/და ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება აკრძალულია. საერთაშორისო საფოსტო გზავნილებში დაუშვებელია აგრეთვე ისეთი ნივთიერებების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ჩადება რომლებიც აკრძალულია საფოსტო გზავნილის ადრესატის ქვეყანაში ან აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით და აქტებით. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშრის ოპერატორები ვალდებული არიან მომხმარებლებს მიაწოდონ ისეთი ნივთიერებების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ჩამონათვალი რომელთა საფოსტო კავშირით გაგზავნა აკრძალულია ან შეზღუდულია. აკრძალული ნივთიერებების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების შემცველი საფოსტო გზავნილები ექვემდებარება კონფისკაციას საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, ხოლო მათი

გაგზავნისთვის ან/და ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარებისთვის განისაზღვრება პასუხისმგებლობა.

31-ე და 32-ე მუხლები განსაზღვრავენ მომსახურების ხარისხის, მომხმარებელთა უფლებების და კომპენსაციის საკითხებს კერძოდ, რომ საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები ვალდებული არიან მომხმარებლებს მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით და საფოსტო კავშირის წესებით დადგენილი ხარისხის და სტანდარტების შესაბამისად მიაწოდონ მომსახურება, რომ მომხმარებელს აქვს საერთო სარგებლობის საფოსტო მომსახურების სახეობის თავისუფლად არჩევის საშუალება და უფლება საფოსტო წესების დაცვით გააგზავნოს ან მიიღოს საფოსტო გზავნილი, უარი განაცხადოს მის მიღებაზე, უკან დაიბრუნოს მის მიერ გაგზავნილი სფოსტო გზავნილი, შეცვალოს ან გაასწოროს გზავნილის მისამართი. საფოსტო გზავნილი მისი ადრესატისთვის გადაცემამდე ითვლება გამგზავნის საკუთრებას თუ ის არ დაექვემდებარა ამ კანონის 30-ე მუხლის, მე-6 პუნქტის შესაბამისად კონფისკაციას. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი და საფოსტო კავშირის ოპერატორები პასუხისმგებლები არიან ზიანისთვის რომელიც მიყენებული იქნა: რეგისტრირებულ ან/და დაზღვეულ საფოსტო გზავნილების მიღების, დახარისხების, გადაზიდვის, დატარების ან ჩაბარების ეტაპზე: მათი დაზიანებით, დაკარგვით, გაძარცვით, განადგურებით ან ქურდობით; ჩაბარების ვადის დარღვევით; არასწორად განხორციელებული ან სრულად განუხორციელებელი მომსახურების გამო. ანაზღაურების თანხების გადახდისას მომხმარებელს არ უნაზღაურდება არაპირდაპირი ზარალი ან არარეალიზებული მოგება. მომხმარებელს უფლება არ აქვს: გააგზავნოს ან მიიღოს ამ კანონის საფუძველზე დადგენილი აკრძალული საგნები, ნივთები, ცხოველები, პროდუქტები, მასალები; საფოსტო გზავნილი დააზღვიოს შიგთავსის რეალურ ღირებულებაზე მეტ თანხად. საფოსტო გზავნილებით აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების გაგზავნისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს კანომდებლობით განისაზღვრება.

საფოსტო წესების დაცვაზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს კომისია, ხოლო საფოსტო კავშირის სფეროში მომხმარებელთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს იცავს კომისია და კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი.

33-ე მუხლით განსაზღვრულია ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს, საფოსტო კავშირის ოპერატორს და მომხმარებელს შორის დავის განხილვის წესი.

<u>მეოთხე თავში</u> მოცემულია საფოსტო კავშირის ქსელის განსაზღვრება; მათ შესაბამის ელემენტებთან და თავისუფალ ფუნქციონალურ სიმძლავრეებთან დაშვების, საფოსტო კავშირის ობიექტების სამართლებრივი სტატუსი, განთავსება და მიწათსარგებლობა, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება საფოსტო გზავნილების გადასაზიდად. კერძოდ: ქვეყნის დასახლებული პუნქტების უნივერსალური საფოსტო მომსახურებით უზრუნველყოფაში არსებული ე.წ. „ბოლო მილის" (კილომეტრის) რთული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საფოსტო კავშრის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს ენიჭება განსაკუთრებული უფლებამოსილება და ევალება ქვეყნის დასახლებულ პუნქტებში დააყენოს საფოსტო ყუთები და საფოსტო სააბონენტო ყუთები, რომლებთან სხვა საფოსტო ოპერატორების დაშვება შესაძლებელია ეროვნულ (დანიშნულ)

ოპერატორსა და დაშვების მსურველ საფოსტო ოპერატორს შორის სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით დადებული ხელშეკრულებით. საფოსტო კავშირის ეროვნულ (დანიშნულ) ოპერატორს და საფოსტო კავშირის ოპერატორებს საფოსტო გზავნილები გადააქვთ მათი კუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და სატრანსპორტო საშუალებებით. საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და საფოსტო კავშირის ოპერატორების სატრანსპორტო საშუალებებს გააჩნიათ სპეციალური სამსახურის ავტომობილის სტატუსი.

<u>მეხუთე თავში</u> მოცემულია საფოსტო კავშირის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების, საფოსტო კავშირით მომსახურების სფეროში საქმიანობის საფუძვლები. დგინდება საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის მსურველი პირებისთვის ერთიანი ავტორიზაციის წესი. ავტორიზაციას ახორციელებს კომისია, რისთვისაც აწარმოებს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს; ავტორიზებულ პირებს უწესდებათ რეგულირების საფასურის ყოველთვიური გადახდა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირების მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეული დაშვების მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0,5 პროცენტი.

20 წლის ვადით შეირჩევა საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საფოსტო კავშირის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის თანხმობის შემთხვევაში ვადის გაგრძელების ან საფოსტო კავშირის ახალი ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის კონკურსის საფუძველზე შერჩევის შესახებ, რაც სულ ცოტა ერთი თვით ადრე გავრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და განთავსდება ინტერნეტის ქსელში, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ამ თავში ასევე მოცემულია ავტორიზებული პირების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები, ავტორიზებულ პირთა უფლებები და ვალდებულებები, ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დავების განხილვა და გადაწყვეტა, მონიტორინგი, შემოწმება და პასუხისმგებლობა.

ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის და ავტორიზებული პირების მიერ ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების შესამოწმებლად კომისია ახორციელებს მუდმივ და სისტემატურ მონიტორინგს, ხოლო საფოსტო ფულადი გზავნილების განხორციელებაზე ზედამხედველობას უზრუნველყოფს სსიპ „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური".

<u>მეექვსე თავში</u> მოცემულია საფოსტო კავშირის სფეროში სტანდარტების და მეტროლოგიური ნორმების დაცვის საკითხები.

<u>მეშვიდე თავში</u> მოცემულია ფოსტის სფეროში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა და საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

<u>**მერვე თავში**</u> მოცემულია გარდამავალი და დასკვნითი დებულებები, რომლის თანახმად ამ კანონის ამოქმედებიდან: 8 თვის გასვლის შემდეგ, საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა უკანონოდ ითვლება; ერთი თვის ვადაში სამინისტრო ღებულობს ნორმატულ აქტს შპს „საქართველოს ფოსტა"-სთვის ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის სტატუსის მინიჭების შესახებ, ხოლო კომისია შვიდი თვის განმავლობაში განახორციელებს სფეროში მოქმედი ავტორიზაციის მსურველი ყველა მეწარმე სუბუექტის ავტორიზაციას და სხვა.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვასთან

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საფოსტო კავშირის სფეროში მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გაზრდის საოპერატორო კომპანიების შემოსავლებს, რაც დადებით გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საფოსტო კავშირის სფეროში მეწარმეობის და კონკურენციის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გაზრდის საოპერატორო კომპანიების შემოსავლებს

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

დგინდება რეგულირების საფასური რომელიც განისაზღვრება ავტორიზებული პირების ან/და ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების ან/და ეროვნული (დანიშნული) ოპერატორის მიერ გაწეული დაშვების მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0,5 პროცენტით

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

კანონპროექტი შეესაბამება მსოფლიო საფოსტო კავშირის და ევროკავშირის შესაბამის აქტების მოთხოვნებს

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული იქნა საოპერატორო კომპანიების წარმომადგენლების კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა მსოფლიო საფოსტო კავშირის რეკომენდაციები საფოსტო კავშირის რეფორმირების საკითხებზე ასევე ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია – დაწესებულება - დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს მთავრობა

საქართველოს კანონი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 3591 – IIს, 17.09.2010 წელი, მუხ. 215) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის დამატება:

1. კოდექსის მე-8 მუხლს დაემატოს 41-ე, 42-ე პუნქტები შემდეგი რედაქციით:
„41. **საფოსტო გზავნილი** – ნებისმიერი გზავნილი (წერილობითი კორესპონდენცია, ამანათი და საფოსტო ფულადი გზავნილი), რომლის გაგზავნა ან ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება საფოსტო კავშირის სფეროში ავტორიზებული პირის საშუალებით. საფოსტო გზავნილების სახეობები და კატეგორიები, მათი წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით, ამ კანონით და მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით;

42. **საერთაშორისო საფოსტო გზავნილები** - საფოსტო გზავნილები, რომლებიც იგზავნება სხვა სახელმწიფოებში ან/და მიიღება სხვა სახელმწიფოებიდან, ან სხვა სახელმწიფოთა საფოსტო გზავნილები, რომლებიც ტრანზიტულად გადაადგილდება ქვეყნის ტერიტორიაზე. საერთაშორისო საფოსტო წერილობითი კორესპოდენცია და ამანათები (დიპლომატიური ფოსტის და საკონსულო ვალიზის გარდა) ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს. დაუშვებელია აღნიშნული საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო აქტებით და ხელშეკრულებებით აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების გაგზავნა, მიღება და ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება.

მუხლი 2. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 3591 – IIს, 17.09.2010 წელი, მუხ. 215) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის დამატება:

1. კოდექსის 215-ე მუხლს დაემატოს მე-12 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
"12. საფოსტო გზავნილებს საბაჟო პროცედურების განხორციელებისას ენიჭებათ უპირატესობა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა საქონელთან მიმართებაში."

მუხლი 3. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტზე

1. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კანონის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ 64-ე მუხლის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს „საფოსტო კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს საფოსტო გზავნილებისათვის სხვა საქონელთან მიმართებაში უპირატესობის მინიჭება, რაც ხელს შეუწყობს ადრესატის მიერ საფოსტო გზავნილის დროულ მიღებას.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

საერთაშორისო საფოსტო გზავნილები კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს. განისაზღვრა საფოსტო გზავნილის და საერთაშორისო საფოსტო გზავნილის ტერმინების მნიშვნელობა. კანონის ამოქმედების შედეგად საბაჟო პროცედურების განხორციელებისას საფოსტო გზავნილებს მიენიჭებათ უპირატესობა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა საქონელთან მიმართებაში.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვასთან

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საფოსტო კავშირის სფეროს განვითარებას. გაზრდის საფოსტო კავშირის ოპერატორთა შემოსავლებს, რაც დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღებით ხელი შეეწყობა საფოსტო კავშირის სფეროს განვითარებას, რაც დადებითად აისახება საფოსტო კავშირის ოპერატორთა შემოსავლებზე.

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.
კანონპროექტი შეესაბამება მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების მოთხოვნებს

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა მსოფლიო საფოსტო კავშირის რეკომენდაციები საფოსტო კავშირის რეფორმირების საკითხებზე
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს დარგის წამყვანმა ექსპერტებმა

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულება-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

—

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს მთავრობა

პროექტი (ბოლო ვერსია)

საქართველოს კანონი
"საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N41(48) , 1999 წელი, მუხ.209) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატებები:

1. კოდექსს დაემატოს 212[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 212[1]. ყალბი საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გადახდის (საპასუხო) კუპონების ან/და ფრანკირებული მანქანის ტვიფრების წარმოება, ან/და გავრცელება

1. ყალბი საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გადახდის (საპასუხო) კუპონების ან/და ფრანკირებული მანქანის ტვიფრების წარმოება, ან/და გავრცელება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;

ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან შვიდ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი მათი ნომინალური ღირებულებით აღემატება ხუთი ათას ლარს.

2. კოდექსს დაემატოს 180[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 180[1]. საფოსტო გზავნილიდან საფოსტო მარკის ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის მოცილება.

1. პირის მიერ მისი პირადი გამდიდრების ან/და მესამე პირის გამდიდრების მიზნით საფოსტო გზავნილიდან საფოსტო მარკის ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის მოცილება - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე."

3. კოდექსს დაემატოს 237[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 237[1]. საფოსტო (საკურიერო) გზავნილებით აკრძალული საგნების, ნივთიერებების ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება

1. საფოსტო (საკურიერო) გზავნილებით აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი არაერთგზის;

ბ) ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე."

4. კოდექსს დაემატოს 220[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 220[1] საფოსტო კავშირის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. საფოსტო კავშირის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით საფოსტო გზავნილების ხელყოფის ხელშეწყობა ან/და ხელყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით - ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორიდან ხუთ წლამდე."

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

"საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე" კანონის პროექტზე

1. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კანონის "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" 64-ე მუხლის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს `საფოსტო კავშირის შესახებ~ საქართველოს კანონის პროექტი

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

საქართველოს კანონის "საფოსტო კავშირის შესახებ" მოთხოვნათა დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონის ამოქმედების შედეგად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მიეცემიან ის პირები, რომლებიც ჩაიდენენ ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა:

_ ყალბი საფოსტო საგადახდო ეროვნული ნიშნების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გადახდის (საპასუხო) კუპონების ან/და ფრანკირებული მანქანის ტვიფრების წარმოება ან გავრცელება;

_ საფოსტო გზავნილიდან საფოსტო მარკის ან/და ფრანკირების მანქანის ანაბეჭდის მოცილება;

_ საფოსტო (საკურიერო) გზავნილებით აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტულად გატარება;

_ საფოსტო კავშირის მუშაკთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით საფოსტო გზავნილების ხელყოფის ხელშეწყობა ან/და ხელყოფა

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვასთან

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს საფოსტო კავშირის სფეროში მეწარმეობის და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, კერძოდ შეამცირებს პირთა უკანონო მოქმედედებების შედეგად საფოსტო საოპერატორო კომპანიებისათვის მიყენებულ ზარალს, გაზრდის საოპერატორო კომპანიების შემოსავლებს, რაც დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონის `საფოსტო კავშირის შესახებ~ დამრღვევ პირთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება აღკვეთს მათ უკანონო ქმედებებს, შედეგად სფეროში შეიქმნება ჯანსაღი კონკურენტული გარემო რაც დადებითად აისახება კანონიერად მოქმედი საფოსტო ოპერატორთა შემოსავლებზე

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

–

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

კანონპროექტი შეესაბამება მსოფლიო საფოსტო კავშირის წესდების და კონვენციის მოთხოვნებს

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა მსოფლიო საფოსტო კავშირის რეკომენდაციები საფოსტო კავშირის რეფორმირების საკითხებზე

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს დარგის წამყვანმა ექსპერტებმა

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულება-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს მთავრობა